წელიწადი მეოთხე ფასი 10 კ. პროლეტარებო ჩველა ქვეყნისა, შეერთდით;

# ჩვენი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 29 იანვარი 1928 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპ, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—?
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე

№ 54 (2)

## ჟურნალის შინაარსი

7 საათის სამუშაო დღისათვის—**ნ. ელიავა**; ქართველი ემიგრაციის ლიდერების ერთმადა—**ყარიბი**; 10 წლის მანძილზე—**ს. ელიაძე**; ხელოვნური ზღუდენი უნდა დაინგრეს—**აფხ. ყოფ. მენშევიკი**; სისხლიანი კვირა—**ისიდორე კუპრაძე**; ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ—**ლეო შენგელაია**; 1928—**ლი—ლი**; ამსტერდამის ინტერნაციონალის იდეური სიკოტრის ერთი ნიმუში—**კ. მეიშვილი**; საგარეო ვაჭრობის საკითხები—**ი. ნარსია**; ვისთან არიან დღეს ჭეშმარიტი მარქსისტები—**ონიფ. ნებიერიძე**; მორიგი ამოცანები—**ნ. ჯგუღელი**; ღირსეული სახალხო მასწავლებელი იასონ კაპანაძე—**გრ. მაჭავარიანი**; ეროვნული თეატრის აღორძინება—**ვახტანგ გარრიკი**; შოფერების თავგასულობა—**ლ. კუპრაშვილი**.

# 7 საათის სამუშაო დღისათვის

საკავშირო ცაკის მანიფესტის დადგენილება 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ **უდიდესი მნიშვნელობის კანონია და არა დეკლარაცია**, როგორც ეს ზოგიერთებმა გაიგეს.

ეს ისეთი დადგენილებაა, რომელიც უკვე ძალაშია შესული და შეურყევლად უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში. ამით ის საპროგრამო კითხვებიდან გადატანილია მიმდინარე ეკონომიურ პოლიტიკაში და მხოლოდ მის პრაქტიკულად გადაჭრაზე შეიძლება ლაპარაკი: დღეს მსჯელობის საგნათ არის გამხდარი საკითხი, თუ როგორ და რა გზით გატარდეს იგი მრეწველობის სხვადასხვა დარგებში.

მართალია, კანონი არ თხოულობს დღესვე 7 საათის სამუშაო დღის საყოველთაოდ გატარებას, მაგრამ არც განუსაზღვრელი ვადისათვისაა გადადებული მისი განხორციელება. ასეთი დიდი მნიშვნელობის ცვლილების გატარება მეტად რთულ საქმეს წარმოადგენს. თვით კანონი ითვალისწინებს ამ სირთულეს და დიდი სიფრთხილით უდგება მას. ეს სჩანს თვით მისი ტექსტიდან, რომლის გახსენება მეტად არ მიგვაჩნია. კანონი ამბობს:

„უახლოეს წლებში საწარმოო და საფაბრიკო-საქარხნო მუშები გადაყვანილ იქნან 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე **სამუშაო ხელფასის შეუმცირებლად.** ამიტომ ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმს დაავალოს **არა უგვიანეს ერთი წლისა შეუდგეს ამ დადგენილების თანდათანობითი განხორციელებას მრეწველობის ცალკე დარგების მიმართ, საფაბრიკო-საქარხნო წარმოების რაციონალიზაციასა, გადაკეთებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით**“.

ხაზგასმული სიტყვებიდან სჩანს, რომ კანონში მოცემულია სრული ინსტრუქცია მისი მთავარი დებულების გატარებისათვის. წინასწარი პირობების მოსამზადებლათ მოცემულია ერთი წლის ვადა, რომლის შემდეგაც უნდა შეუდგენ შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასვლას მრეწველობის სხვადასხვა დარგებში. სამუშაო დღის შემოკლება უნდა მოხდეს ხელფასის შეუმცირებლად და რაციონალიზაციის, გადაკეთებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე.

ასეთი ფრთხილი მიდგომა ნათელყოფს, რომ კანონის ავტორებს სავსებით შეგნებული ჰქონდათ მისი სირთულე, ცხოვრებაში მისი გატარების სიძნელე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სცნეს დრო შესაფერისად და მიზანშეწონილად ამ დიდი რეფორმის განხორციელება.

ეს რომ საგიტაციო დეკლარაცია არ იყო, აქედანაც სჩანს, რომ თითქმის ყველა სამეურნეო ორგანოები უკვე შეუდგენ საკითხის პრაქტიკულად დამუშავებას, ხოლო ზოგან თვით რეფორმის გატარებაც დაიწყეს. მაგალითად, მიმდინარე წლის 15 იანვრიდან მოსკოვის რაიონის 22 საფეიქრო ფაბრიკა გადავიდა 7 საათის სამუშაო დღეზე..

და, თუ ამ კანონს რამე საგიტაციო მნიშვნელობა აქვს, ეს არა საბჭოთა კავშირის საზღვრებში, არამედ მის გარეთ, სადაც ორგანიზაციულად შეკავშირებული კაპიტალი თავს ესხმის პროლეტარიატს და ცდილობს ომის დროს და ომის შემდეგ პერიოდში მოპოვებული მიღწევები წაართვას მას, რვა საათის სამუშაო დღე ფაქტიურად ცხრა-ათი საათის სამუშაო დღით შეცვალოს.

იქ, სადაც ასეთი მდგომარეობაა, საბჭოთა კანონს, რასაკვირველია, საგიტაციო მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ამ საგიტაციო მნიშვნელობას აძლევს მას არა ის, ვინც მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავს, არამედ ის, ვინც მუშათა კლასს თავს ესხმის.

**ამ მხრით** საკითხი საკმაოთ გამორკვეულია საბჭოთა პრესაში და ჩვენ მასზე არ შევჩერდებით. ჩვენთვის საინტერესო საქმის არსებითი მხარე და გვინდა მკითხველებს გავახსენოთ, თუ როგორ, რა წესით, ფიქრობენ

ამ ცვლილებების გატარებას ჩვენი ორგანოები: რა პირობებში შეიძლება მისი განხორციელება და რას მისცემს იგი ჩვენს სახალხო მეურნეობას საზოგადოთ და კერძოთ მრეწველობას. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელმძღვანელი ორგანოების მიერ კატეგორიულად უარყოფილია ამ საქმეში თვითნებური გამოსვლები და ეგრედწოდებული „პარტიზანშჩინა", ესე იგი რეფორმის თავის მიხედულებით აქა-იქ გატარება. ამ საქმის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს საკავშირო სახ. კომისართა საბჭოსთან დაარსებულ სპეციალურ კომისიას და მხოლოდ მისი ნებართვით შეუძლია სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებებს 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. ამ კომისიამ უკვე გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვით, მან 1928 წლის 1-ლ ივლისისთვის უნდა შეადგინოს იმ სარეწაოთა სია, რომელნიც 1928—1929 წლის განმავლობაში გადავლენ 7 საათ. სამუშაო დღეზე (იხ. ეკონ. ჟიზნი, № 17, 20 იანვარი, 1928 წ.). მანვე კატეგორიულად აუკრძალა კომუნალურ მეურნეობათა სარეწაოთ შემოკლებული სამუშაო დღის გატარება გეგმის გარეშე (იხ. „Зар. В". № 1662, 27 დეკემ. 1927 წ.).

ასეთია პირველი ნაბიჯები რეფორმის გამტარებელ საკავშირო კომისიისა. კავშირის მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომელიც არის მრეწველობის ხელმძღვანელი, და პროფესიონალურ კავშირების სრულიად საკავშირო საბჭოც სავსებით იზიარებენ ამ შეხედულებას.

ასეთი მიდგომა საკითხისადმი გამოწვეულია იმ ამოცანებით, რომელიც დაკავშირებულია რეფორმასთან. მათ შორის პირველია შემდეგი: „სამუშაო დღის შემცირებამ არას შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს შრომის ნაყოფიერების შემცირება და არც მრეწველობის ნაწარმის თვითღირებულების დაკლების პროცესის შეჩერებაო",— ამბობს მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბრძანება № 135.

„არც ერთი ქარხანა არ უნდა გადავიდეს 7 საათის სამუშაო დღეზე, თუ ეს ზომა შეამცირებს წარმოების მოგებას, გააძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას, ან თვითღირებულების განზრახულ შემცირებას ხელს შეუშლისო".—ამბობს ქიმიკოს მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტი (იხ. ეკონომ. ჟიზნის, №297).

ეს არის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რეფორმის გატარების უარყოფითი პირობა. მაგრამ ეს არ კმარა. მან უნდა მოგვცეს დადებითი შედეგებიც, და წორედ ეს არის რეფორმის მთავარი დანიშნულება.

ამ აზრს შემდეგი დებულებით გამოხატავს კავშირის მეურნეობის უმაღლესი საბჭო: „სამუშაო დღის შემოკლებამ უნდა მოგვცეს არა მარტო ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და წარმოებაში მუშათა მეტი რიცხვის შემოყვანის საშუალება (დამატებითი ცვლათა შემოღებით) და ამით უმუშევრობის შენელება, არამედ მან უნდა მოგვცეს შესაძლებლობა, რომ უკეთ, უფრო ინტენსიურად გამოვიყენოთ ძირითადი კაპიტალიც და მრეწველობაში ახლად ჩადებული თანხებიც".

სამუშაო დღის შემოკლებამ უნდა მოგვცეს აგრეთვე მრეწველობისა და მთელი მეურნეობის საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარების შესაძლებლობა" (იხ. იგივე ბრძანება):

აი, ის დადებითი ამოცანები, რომელიც დაკავშირებულია ამ დიდი ცვლილებასთან
ებძ

როგორც ხედავთ, ამოცანა მეტად მძიმე და პასუხსაგებია და საჭიროა გავითვალისწინოთ, რა პირობებში შეიძლება მისი მიღწევა. ამაზე შემდეგ.

**ნ. ელიავა.**

# ქართველი ემიგრაციის ლიდერების ერემიადა

ქართველი ემიგრაციის პრესა ხელახლა ახმაურდა. დღეს მას ყველა ფრონტებზე უხდება ბრძოლის წარმოება. დღემდე მას მხოლოდ ერთი ფრონტი ჰქონდა. კომუნისტური პარტია და მისი ლაქიები „ახალი გზის" პუბლიცისტები. სხვა ფრონტებზე კი სრული მშვიდობიანობა და „კაცთა შორის სათნოება" ჰქონდათ.. ყოველ შემთხვევაში, ქართველი ემიგრაციის ლიდერები ასე არწმუნებდენ თავის აქაურ ადეპტებს.

კიდევ მეტი: ისინი ამ უკანასკნელებს წერდენ და უთვლიდენ: მთელი მსოფლიო, მთელი სოციალისტური და ბურჟუაზიული ევროპა ჩვენი საქმის მომხრეა, ისინი მზად არიან კომუნისტების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის საწარმოებლად. მხოლოდ კომუნისტების მაბდაური ლაქიებია ჩვენი და ჩვენი ქვეყნის მტერიო.

ასეთი იყო შინაარსი ჟორდანია-რამიშვილის ყველა ეპისტოლეებისა, ასეთი იყო შინაარსი „ბრძოლის", „დამოუკიდებელი საქართველოს", „თეთრი გიორგის" და ქართველი ემიგრაციის ყველა სხვა გამოცემათა.

„ახალი გზელები" გამყიდველებია, მათ იუდა ისკარიოტელის როლი იკისრეს, მათ გაყიდეს საქართველო.. ჰკა მაგათ! უზოგველი ბრძოლა მათ წინააღმდეგო!

მტრები მხოლოდ ესენი, ეს გაყიდული ხალხი იყო. დანარჩენი კი ყველა მოყვრები და მათი თანამებრძოლები იყვნენ. ისინი თავის ბანაკში, „საქართველოს გამანთავისუფლებელთა" ბანაკში თვლიდენ როგორც მეორე ინტერნაციონალსა და მთელ მის მრევლს. ეს რუსი ემიგრანტების ყველა პარტიებს, დაწყებული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძით და რუსეთის სამეფო ტახტის „მესაყდრე" „იმპერატორი" კირილეთი და გათავებული მილიუკოვის ჯგუფითა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „საზღვარგარეთელი დელეგაციით".

მართალია, ხანდახან ოტტო ბაუერი და აბრამოვიჩი უწამლავდენ ჟორდანიას ტკბილ ოცნებას, მაგრამ მათი ხმა აბა რით გამოჩნდებოდა კონცერტში, რომელსაც ჟორდანია „მთელი განათლებული კაცობრიობის თანაგრძნობას" უწოდებდა და რომელიც, ჟორდანიას სიტყვით, ერთხმად მოითხოვდა „მოსკოვის ბარბაროსებისაგან საქართველოს განთავისუფლებას".

ნ. ჟორდანია ისე მოჯადოებული იყო ამ ტკბილი ოცნებებით, მას იმდენად სწამდა მთელი „განათლებული კაცობრიობის თანაგრძნობა", რომ ის წარბ შეუხრელად სწერდა:

„ჩვენი პოლიტიკური ტაქტიკა ნაციონალურ საკითხში იყო და დარჩება შემდეგი: საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ სხვისი დახმარებით. ვინ არიან ეს „სხვები"?—ისინი არიან სხვა სახელმწიფოები, რომელთანაც მოსკოვს ექნება კონფლიქტი... თვით მოსკოვი, როცა იქ მოხდება რევოლიუცია და საბჭოთა ხელისუფლება დაეცემა".

აქედან აშკარაა, რომ ჟორდანია „სხვა სახელმწიფოებთან" ერთად საქართველოს სუვერენობის მომხრეთ თვლიდა და რუსეთის ყველა პოლიტიკურ პარტიებს, კომუნისტების გამოკლებით, რა თქმა უნდა!

მართალია, ჟორდანიას ასეთ იმედებს არ იზიარებდა ერთი ვინმე ავ-ყია, „ქვეყნის მოღალატე" ყარიბი, რომელიც მას უმტკიცებდა, რომ თუ საბჭოთა წყობილება დაეცა, რუსის სხვა პოლიტიკური პარტიების იმედი ნუ გექნებათ, რადგანაც რუსეთში არასოდეს არ ყოფილა და არც მომავალში იქნება არა თუ პოლიტიკური პარტია, არამედ ასე თუ ისე თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწეც კი, რომელიც სუვერენულ საქართველოს მხარს დაუჭერსო... მაგრამ ამას ჩმახავდა ვიღაც ავ-ყია და ქვეყნის მოღალატე ყარიბი და აბა ასეთ მწერალს რა დაეჯერებოდა?..

მაგრამ გავიდა დრო. და,—ო, საშინელებავ!—ავ-ყიას სიტყვები გამართლდა და ნ. ჟორდანიას ტკბილი ოცნება გაქრა, ვითა სიზმარი ღამისა. „განათლებული კაცობრიობისა" და „თვით მოსკოვის" თანაგრძნობის კონ-

ცერტი გამოდგა მაცდური სერინოზების გალობათ, რომელსაც, მისდა საუბედუროთ, დაუჯერა საქართველოს სოც.-დემოკრატიის ბრძენმა ულისმა და მით თავი ახალ განსაცდელში ჩაიგდო.

მაინც რა მოხდა?

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ბევრი ქადილისა და ფართი-ფურთის შემდეგ ევროპის ბურჟუაზია უფრო ენერგიულად აზმაურდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ცბიერმა ალბიონმა შესწყვიტა საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობა და მის წინააღმდეგ ერთი მთლიანი ფრონტის შექმნას შეუდგა... ამას დაერთო თვით კომუნისტურ პარტიაში განხეთქილება...

ამ ორმა გარემოებამ სულ ერთიანად აათრთოვანა ნ. ჟორდანიასა და მისი ამხანაგების მეტის-მეტად მგრძნობიარე ბუნება. ვერც კი მოასწრო ჩემბერლენმა თავის კაბინეტში დამაცხიკვება, რომ ქართველი ემიგრაციის ლიდერებმა ჩემოდნები ჩაალაგეს და საქართველოსაკენ წამოსვლა გადაწყვიტეს...

და სწორედ ამ დროს მოხდა ის საშინელი ამბავი, რომელმაც ჟორდანია და მისი ამხანაგები ასე სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და რომელზეც ჩვენ დღეს გვინდა მოველაპარაკოთ ჩვენს მკითხველებს.

მართალია, კომუნისტების შინაგანმა გართულებამ და ინგლისის საომარ გუნებაზე დადგომამ ერთნაირად გაახარა, როგორც ს. ს.-დ. პარტიის ლიდერები, ისე რუსის ყველა პოლიტიკური პარტიების ლიდერები საზღვარგარეთ; მართალია, ამ გარემოებამ ყველას აღუძრა იმედი მათი საშინელი მტერი—კომუნისტური პარტიის მოსპობის შესახებ, მაგრამ მათ სხვადასხვა გვარი სურვილები და ემოციებიც აღეძრათ.

როგორც დავინახეთ, ჟორდანია კომუნისტების დამარცხებაზე ამყარებდა იმედებს.—მხოლოდ კომუნისტები კი დამარცხდენ, მხოლოდ მათგან კი განთავისუფლდეს მოსკოვი და სხვა ადვილია. განთავისუფლებული მოსკოვი, ვინც უნდა იყოს მისი ახალი ბატონ-პატრონი, საქართველოს დამოუკიდებლობას არა თუ ხ/ლს არ შეუშლის მას კიდეც დაეხმარებათ.

ასეთი იყო ჟორდანიას იმედი. მაგრამ სულ :ხვა პლანები და სურვილები აღეძრათ თავში რუსი ემიგრანტების ლიდერებს, როცა მათ რუსეთში დაბრუნების შესაძლებლობის მოახლოება იგრძნეს. ჰაერში თოფის წამლის სუნის დატრიალებასთან ერთად ყველა ყოფილებს მადა აღუძრა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირის დღეები დათვლილი იყო. ამაში იქვ: არავის ეპარებოდა და ნადავლის განაწილებას შეუდგენ. ჯერ დათვი არა თუ არ მოეკლათ, ის ჯერ თვალითაც არ დაენახათ. მაგრამ ამ უსაქმური ადამიანებისთვის საკმაო იყო ტყეში ფოთლების შრიალისათვის ყური მოეკრათ, რომ ეს ოცნების თვალით წარმოდგენილი დათვი უკვე მოკლულად დაესახათ და მის დანაწილებაზე ერთმანეთისთვის თავ-პირი დაემტვრიათ.

ყველაზე მეტი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი ემიგრაციის ბელადებს, საქართველოს „განმანთავისუფლებლებს“ მოხვდათ, რადგანაც ისინი, სხვებთან შედარებით, უფრო მეტ აქტივობას იჩენდენ...

და დღეს ეს თავ-პირ დამტვრეული ხალხი გამოსულა და ყველას იერემიას გოდებით მიმართავს: რას გვერჩით? რა დაგიშავეთ? რატომ გაგვიცრუეთ იმედები? რატომ არ გვიჭერთ მხარს ჩვენს კანონიერ მოთხოვნილებებშიო?

ამ საგანზე ჩვენ უკვე ვიცით ცოტა რამე ჟორდანიას წერილების გარჩევიდან. ახლა, ვგონებთ, ინტერესს არ იქნება მოკლებული ჩვენი მკითხველები გავაცნოთ „საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო დამოუკიდებელი საქართველოს“ იერემიადასაც.

ჩვენს ხელთ არის ამ გაზეთის 23 და 24 ნომრები (წარსული წლის ნოემბერი და დეკემბრისა). აი, აქ არის ერთი დაუსრულებელი ტირილი და კბილთა ღრჭენა იმის შესახებ, რომ ნ. ჟორდანიას **„თვით მოსკოვმა“**, ესე იგი რუსეთის არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ მოისურვა ჟორდანიასა და მისი ამხანაგების იმედების გამართლება, რომ ყველამ უარი განაცხადა დამოუკიდებელი საქართველოსთვის მხარის დაჭერაზე.

დასახელებული გაზეთის 23 ნომერში მთავარი მოზარეთ ცნობილი სამსონ ფირცხალავა გამოდის... ის ჩვენისთანა წვრიმან ხალხზე ლაპარაკს არ კადრულობს. როცა ის თავისი იერემიადით გამოდის, ის აცხადებს, რომ მას სახეში არა ყავს „ისეთი უსინდისო რენეგატები, როგორიც გელეიშვილი“ და მისი ამხანაგები არიან. მას არც ისეთები ყავს სახეში, როგორიც არიან რუსის მონარქისტები, ან ლიბერალურ - დემოკრატიული ჯგუფები, მილიუკოვის მსგავსი თუ სხვანი, რომელთაც დიდმა ომმა და რევოლიუციამ არაფერი ასწავლა და რომლებიც დღესაც წინანდელ „მთლიან განუყოფელი რუსეთის“ აღდგენაზე ფიქრობენ... მაგრამ ს. ფირცხალავა გაკვირვებას გამოსთქვამს, როცა ქართველი ერის ეროვნული დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება უკმაყოფილებას იწვევს რუსის სოციალისტებში, როგორიც არიან ს.-დემოკრატები და ს.-რევოლიუციონერები.

აი, ამაზეა აშენებული ს. ფირცხალავას მთელი იერემიადა.

საცოდავი ს. ფირცხალავა, საცოდავი ჟორდანია და მისი ამხანაგები! ამ ბრძენმა პოლიტიკოსებმა მხოლოდ დღეს აღმოაჩინეს ეს ყველასთვის დიდი ხნის წინათ აღმოჩენილი ამერიკა. მათ მხოლოდ დღეს გაიგეს, რომ რუსი ესერები და ესდეკები ყოველთვის და ყველგან წინააღმდეგი იყვენ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისა.

სამსონ ფირცხალავას და კომპანიას ეს არ სცოდნიათ, მათ მაინც დიდი იმედები ქონიათ, რომ ესერები და ესდეკები მხარს დაუჭერდენ საქართველოს კანონიერ მოთხოვნილებას.

მერე არ იკითხავთ, რა საბუთი ჰქონია ამისთვის კერძოთ სამსონ ფირცხალავას?

ის, რომ თურმე „მარსელის კონგრესზე“ განმეორებით ყოფილა აღიარებული საქართველოს უფლება დამოუკიდებელი არსებობისა“.

კიდევ? კიდევ რა საბუთი გაქვთ, მოქალაქე ფირცხალავა?

კიდევ ის, რომ „მეორე ინტერნაციონალის ცენტრალურმა კომიტეტმა არა ერთხელ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ქართველი ხალხის მდგომარეობას“.

აბა ამის შემდეგ ნუ თუ სრული უფლება არ ჰქონდა სამსონ ფირცხალავას ეფიქრა, რომ „რუსი სოციალისტები,—რომლებიც მეორე ინტერნაციონალში შედიან,—მტრულად არ მოეპყრობიან საქართველოს საკითხს?“.

მაგრამ სხომის სად, რაში და როდის გამართლებიათ იმედები ქართველი ემიგრაციის ყველა ჯურისა და ფერის ლიდერებს, რომ ახლა გამართლებოდათ იგი?

დახმარების მაგიერათ მათ მხოლოდ ვერაგული ღალატი და მტრობა მიიღეს.

სამსონი გვეუბნება:

„იმის გამო, რომ საქართველო დაუღალავად განაგრძობს ბრძოლას თავის უფლების აღსადგენად და მასთან ერთად არაზმებიან რუსეთში მომწყვდეული სხვა დამონებული ერებიც და აგრეთვე \ რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის შეწყვეტის გავლენით რუსმა სოციალ დემოკრატებმა მოწოდებით მიმართეს სოციალისტურ ინტერნაციონალს: სეპარატისტებსა და შოვინისტებს რუსეთის დანაწილება უნდათ და გვიშველეთ, დაგვეხმარეთო“.

ეს ხომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის „საზღვარგარეთელი დელეგაციის“ ვერაგობა, ახლა ესერების ვერაგობას არ იკითხავთ?

„ამას წინად პრაღაში დაარსდა „აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ლიგა“, რომელსაც მეთაურობ...

რუსის სოც.-რევოლიუციონური პარტიის ლიდერები ვ. ჩერნოვი და სხვა, და რომელიც მიზნად ისახავს დღეს საბჭოთა კავშირში მომწყვდეული ერების თავისუფალი კავშირის შექმნას“.

ერთი სიტყვით, ესერების პოლიტიკა ასეთი ყოფილა:—ჰო, გეთანხმებით დამოუკიდებლობაზე, მაგრამ გირჩევთ, ჩვენთან დარჩეთ, ეს აჯობებსო“.

და ყოველი ამის შემდეგ, ნუ თუ გასაგები არ არის, რომ გულმომკვდარი სამსონ ფირცხალავა უკურნებელ კაეშანს ეძლევა და იერემიას ხმით გამოსთქვამს: რუსის სოციალისტებმა ჩვენი მოლოდინი არ გაგვიმართლეს, მათ გვიღალატესო“...

—:—

ამ მხრით კიდევ უფრო საყურადღებოა იმავე „დამოუკიდებელი საქართველოს“ 24 ნომერში მოთავსებული მეთაური, რომლის ავტორსაც ვერვინ უსაყვედურებს ევროპაში მოყიალე რუსი პოლიტიკური „მიმდინარეობათა“ უცოდინარობას. ამ წერილის ავტორი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულია ნოე ჟორდანიას „მებრძოლი მენშევიზმის“ არგუმენტებით და ამ არგუმენტებით ებრძვის ყველას.

უსახელო ავტორი გვაცნობს რუსის პოლიტიკური პარტიების „ყველა მიმდინარეობას“, და აღნიშნავს, რომ „მონარქისტები ძველი რეჟიმის აღსადგენად არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, დაწყებული ინტერვენციიდან და გათავებული პურით. მენშევიკები ბოლშევიკურ ძალმომრეობას რევოლიუციის გაგრძელებათ თვლიან და ამიტომ თავს იჭერენ ყველა „მაგარი“ ზომებიდან, რათა არ დავეხმაროთ ბონაპარტიზმის გამარჯვებასო“.

ეს უკანასკნელები თურმე „სულაც არ ფიქრობენ იმის შესახებ, თუ რას განიცდის ერები ამ ისტორიულ ხანაში“ და უსახელო ავტორი გულისტკივილით არცხვენს მათ, აგონებს მათ რევოლიუციონურ წარსულს, როცა ესდეკები ბრძოლის ტაქტიკას აწარმოებდენ, როცა ესერები თავის დევიზათ აცხადებდენ: „ბრძოლით მოიპოვებ შენს უფლებასო“. და აცხადებს: —„დემოკრატები იქცენ ოქტომბრისტებათ, სოციალისტები—რეფორმისტებათ. არც იქით, არც აქეთ, ერთ ადგილზე ტკეპნა“ (როგორია ჰგავს ამ სიტყვების ავტორი ნოე ჟორდანიას!).

რა ამოძრავებს რუსის სოციალისტებს?—კითხულობს უსახელო ავტორი და თვითონ იძლევა პასუხს:

„ერთი მოტივი... ესაა შიში რუს და არა რუს ერთა ერთმანეთისაგან გაყრისა. აი, ამაში ისინი, მემარჯვენეებიდან დაწყებული ერთად არიან, ასე ვთქვათ, ერთ ნაციონალურ ფრონტში“.

უსახელო ავტორი გულითადის მწუხარებით ეუბნება თავის არა ერთხელ მოტყუილებულ მკითხველებს, რომლებსაც „თვით მოსკოვის, ესე იგი რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტიების დახმარების იმედით ჰკვებავდენ, რომ არა თუ მემარჯვენე პარტიები, არამედ რუსის სოციალისტები დღეს არ თანაუგრძნობენ საქართველოს განთავისუფლების საქმეს, რომ პირიქით, „მარტო ხსენება იმისი, რომ საქართველო, აზერბეიჯანი, მთა, უკრაინა და თურქესტანი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიანო, რუსის დემოკრატებსა და სოციალისტებს ცუდ გუნებაზე აყენებსო“.

„რუსის დემოკრატები და სოციალისტები აშკარათ იცდებენ არა რუს ერთა უდაო უფლებებსო“,—გვეუბნება ავტორი და რა კი რწმუნდება, რომ ისინი საიმედოს არაფერს წარმოადგენენ პატარა ერებისათვის, იგი მაინც გულს არ იტეხს და ამბობს: გვიღალატეთ, მაგრამ ჩვენ მაინც ვივლით ჩვენი გზით... „არა რუსი ერები, გამოულით შეურდეულივით გაყვებიან ერთხელ აღებულ გზას, დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი ჯერიც ჩქარა დადგება—თვით გამოსჭედონ თავისი მომავალიო“.

ამ მოწინავეში ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ავტორი თუმცა ცალ-ყბათ, პრანჭვა-გრეხით და ირონიით, მაგრამ მაინც იგონებს კომუნისტების ნაციონალურ პოლიტიკას და მაღლა აყენებს მას იმ პოლიტიკაზე, რომელსაც რუსი ესერები და ესდეკები აწარმოებენ.

თქვენ გაუსწორებელი დოღმატიკოსები ხართ. თქვენ უარყოფთ სინამდვილეს, არავითარ ანგარიშს არ უწევთ მას, მაშინ, როდესაც „თვით ბოლშევიკები იძულებული გახდენ, თუმცა მახინჯათ, ყოფილი იმპერია ეროვნულ-ტერიტორიალურად დაეყოთ და აღეარებიათ ქაღალდზე მაინც თვით გამორკვევის და კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება... ეს ლამაზი სიტყვები ხორც შეუსხმელი ვერ დარჩებაო“.

—:—

ერთი სიტყვით, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ეს ყველა ჯურისა და ფერის ყოფილი ადამიანები ცხოვრობდენ სიამ-ტკბილობით ევროპის ბურჟუაზიის საფარველ ქვეშ. ისინი ერთმანეთს ძმობასა და სიყვარულს ეფიცებოდენ, საერთო მტერზე, საერთო ძალით მისვლას ეპირებოდენ. მაგრამ, როცა ინგლისის სამხრად მზადება დაინახეს, როცა დაინახეს, რომ ტროცკიმ შიგნიდან მოუნდომა აფეთქება კომუნისტურ პარტიას, როცა საერთო მტრის დამარცხების მაცდურმა იმედმა გაუელვათ თავში, ყველას ისევ ისე აეშალა გულის სიღრმეში ჩაფერფლილი იმპერიალისტური ზრახვები და ერთმანეთს თავისი ნამდვილი სახე დაანახეს.

— რის თავისუფლება? რა თავისუფლება? რას გვიქვიან პატარა ერების დამოუკიდებელი არსებობა? ეს სისულელეა. გაუმარჯოს ძველს ფარგლებში აღდგენილს ერთ მთლიან განუყოფელ რუსეთის იმპერიასო...

სრულიად ჩვეულებრივი რამ მოხდა. მოხდა ის, რაც ჩვენ სამიოდე წლ. წინათ გავახსენეთ ნ. ჟორდანიას, როცა ის „სხვა სახელმწიფოებისა და თვით მოსკოვის იმედით“ ატყუებდა ქართველ ხალხს და კომუნისტების წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევდა.

ჩვენ მაშინ უკვე მოვახსენეთ ნ. ჟორდანიას ახლა იძულებული ვართ გავუმეოროთ, რომ რუსეთში არასოდეს არ არსებობდა არა თუ პოლიტიკური პარტია, არ მოიპოვებოდა არც ერთი ასე თუ ისე თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დაწყებული უკიდურესი მონარქისტებიდან და გათავებული ესერებითა და ესდეკებით, დაწყებული პუშკინით და გათავებული დოსტოევსკით, რომელიც მომხრე ყოფილიყოს დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველოს არსებობისა.

ჩვენ მაშინ ვთქვით და დღესაც ვიმეორებთ, რომ თუ რუსეთში ოდესმე ყოფილა პოლიტიკური პარტია, რომელსაც ეცნოს საქართველოსა და საერთოთ ყველა დიდი და პატარა ჩაგრული ერების დამოუკიდებლად არსებობა,—ეს მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტიაა.

ჩვენ უფრო შორსაც წავალთ: მთელი დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელმაც მოისურვოს თავისივე სახელმწიფოში პაწია ერების დამოუკიდებლობისათვის მხარის დაჭერა. ეს პარტია მხოლოდ კომუნისტური პარტიაა, რომელმაც კონსტიტუციაში ხაზგასმით აღიარა: **„თვითოეული მოკავშირე რესპუბლიკა შეინარჩუნებს უფლებას თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდანო“** (საბჭოთა კონსტიტუცია, მუხ. 4).

და სრულიად მართალი ბრძანდება „დ. საქართველოს“ მოწინავეს ავტორი.

— **„ეს ლამაზი სიტყვები ხორცშეუსხმელი ვერ დარჩება“.**

**ყარიბი.**

# ათი წლის მანძილზე

სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ 27 იანვარს იდღესასწაულა თავისი არსებობის 10 წლის თავი.

თავისუფალი პროფესიონალური კავშირები საბჭოთა რესპუბლიკებში ოქტომბრის რევოლიუციის ღვიძლი შვილია, მართალია პროფესიონალური მოძრ. ისტორია ყოფილ რუსეთის იმპერიაში ამით არ განისაზღვრება, მას გაცილებით უფრო გრძელი ისტორია აქვს, მისი პირველი ჩასახვის დროთ უნდა ჩაითვალოს 1905 წლის რევოლიუციის პერიოდი, მაგრამ მაშინდელ პროფესიონალურ კავშირების მიზნებსა და დღევანდელს შორის არსებობს ფრიად დიდი განსხვავებანი და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ დღესასწაულთან დაკავშირებით გავითვალისწინოთ ოქტომბრის რევოლიუციის წინა პერიოდის პროფკავშირთა მიზანი და დანიშნულება და აგრეთვე დღევანდელი პროფესიონალური კავშირების როლი როგორც მუშათა კლასის ეკონომიური ინტერესების დაცვის საქმეში, ისე სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებთან.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, პირველად პროფესიონალური კავშირები ყოფილ რუსეთის იმპერიაში შეიქმნა 1905 წლის რევოლიუციის დროს, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ორგანიზაციული ჩამოყალიბებაც კი ვერ მოუსწროთ, რომ რევოლიუციის- დამარცხებასთან ერთად თვითმპყრობელობამ გაანადგურა მუშათა მოძრაობის ეს კლასობრივი ორგანიზაციებიც. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1905 წლის რევოლიუციაში პროფესიონალურ კავშირებს საკმაოდ დიდი როლი არ უთამაშიათ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

რევოლიუციის დამარცხების შემდეგ პროფესიონალური კავშირები გადავიდენ არალეგალურ მდგომარეობაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რეაქციის გაძლიერებასთან ერთად, თანდათან მცირდებოდა კავშირებში გაერთიანებულ მუშათა რიცხვი და უმრავლეს წარემოებებში ის სრულიადაც არ არსებობდა.

1912 წელი რუსეთის ისტორიაში აღინიშნება მუშათა მოძრაობის გამოცოცხლების ხანათ. ამ წელში მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში ადგილი ქონდა მუშათა ეკონომიურ გაფიცვებს, რომელიც თანდათანობით ღებულობდა პოლიტიკური ბრძოლის სახეს. ამ ხანებში პროფესიონალურ მოძრაობასაც ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო. მაგრამ 1914 წლის აგვისტოში დაწყებულმა მსოფლიო ომმა მუშათა მოძრაობა კვლავ შეაჩერა, რასაც ხელი შეუწყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების ერთი ნაწილის თავდაცვითი ომის მომხრედ გამოსვლამ, რომლებიც მოუწოდებდენ მუშათა კლასს კლასობრივ ბრძოლიდან ხელის აღებაზე, რაც თავისთავად ნიშნავდა თვითმპყრობელური რეჟიმის გამაგრებისათვის ხელის შეწყობას.

თებერვლის რევოლიუციამ ვითომც ერთგვარი თავისუფალი გასაქანი მისცა პროფესიონალური მოძრაობის განვითარებას და ამ ხანებში თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი გაერთიანდენ პროფესიონალურ კავშირებში, მაგრამ პირველ ხანებში მათ ხელმძღვანელ ორგანიზაციებში უმრავლესობა ყავდათ მენშევიკურ პარტიას, რომელთა მოღვაწეობა იყო იქითკენ მიმართული, რომ პროფესიონალური კავშირები გადაექციათ კაპიტალისტურ სისტემასთან, შემთანხმებელ ორგანიზაციებათ, რითაც სურდათ გზა გაეკაფათ რუსეთში კაპიტალისტური წყობილების აღორძინებისა და განმტკიცებისათვის.

რა მიზანი უნდა ქონებოდა ოქტომბრის რევოლიუციამდე არსებულ პროფესიონალურ ორგანიზაციებს?

პასუხი აშკარაა: მათი მიზანი უნდა ყოფილიყო კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის წარმოება, ამ მიზნით მუშათა მასების დარაზმვა ამ ორგანიზაციებში და ეკონომიური მოთხოვნილებებთან ერთად პოლიტიკური ხასიათის საკითხების წამოყენებაც.

ოქტომბრის რევოლიუციის წინა პერიოდის პროფკავშირებმა ეს ამოცანა უმრავლეს შემთხვევაში ღირსეულად შეასრულეს, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტ. პარტიის გავლენა სწრაფად იზრდებოდა მუშათა მასებში და ამ პარტიის წარმომადგენლები მალე მოექცენ პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანიზაციებში.

სულ სხვა მიზნებს ისახავს და ემსახურება საბჭოთა კავშირში არსებული პროფკავშირები და მათი ხელმძღვანელი ორგანო—სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭო.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი თავისუფალი პროფესიონალური კავშირები, როგორც საბჭოთა კავშირში. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის დიქტატურის ქვეყანას, სადაც მხოლოდ ამ მასებს აქვთ ხელში ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები.

ოქტომბრის რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე ფართე გასაქანი მიეცა მუშათა მასების პროფესიონალურად შეკავშირების საქმეს და დღეს, როგორც თვისობრივად, ისე რიცხვობრივად არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ მოიპოვება ისეთი ძლიერი პროფესიონალური კავშირები, როგორც საბჭოთა კავშირში. საკავშირო პროფსაბჭოში ამჟამად გაერთიანებულია 10 მილიონზე მეტი წევრი, რაც სარეკორდო ციფრად უნდა ჩაითვალოს. ამასთან ერთად ეს რიცხვი თანდათონობით იზრდება ჩვენი საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად.

დამახასიათებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ საკავშირო პროფსაბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასოფლო მეურნეობაში დაქირავებულ მუშა ხელის პროფკავშირებში გაერთიანებას, ამათ რიცხვს კი უმთავრესად ეკუთვნიან მოჯამაგირეობა, რომლებიც ყველაზე უფრო ჩამორჩენილ მასას წარმოადგენენ დაქირავებულ პირთა შორის როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად. ამ მასების პროფკავშირებში გაერთიანებისათვის არასოდეს არავინ არ ღებულობდა ზომებს.

ამჟამად ზედმეტად მიგვაჩნია ყველა იმ უპირატესობების ჩამოთვლა, რომლებიც პროფკავშირებში გაერთიანების გამო მიიღეს სასოფლო მეურნეობაში დაქირავებულმა მოჯამაგირეობამ, მხოლოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ მათი პირობების გაუმჯობესება, მთლიანად მიეწერება საბჭოთა ხელისუფლების არსებობას და ამ ხელისუფლების დროს მომქმედ პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

პროფესიონალური კავშირების როლი საბჭოთა ხელისუფლების დროს ძირიანად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების პროფმოძრაობის ამოცანებისაგან.

აქ მუშათა ეკონომიური პირობების გაუმჯობესების საკითხთან ერთად პროფკავშირების წინაშე დასახულია მთელი რიგი ამოცანები, რომელსაც სათანადო პასუხი უნდა გასცეს ჩვენმა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. ამათში უმთავრესია: შრომის ნაყოფიერების გადიდება, წარმოების რაციონალიზაციისათვის ხელის შეწყობა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, შრომის დაცვა, მუშების კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვა და მრავალი სხვა. ყველა ამ საკითხების სათანადოთ მოგვარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და სოციალისტურ მშენებლობის წარმატებით დაგვირგვინებასთან.

ამასთან ერთად, ცალკე უნდა დაისვას საკითხი საკავშირო პროფსაბჭოს როლის შესახებ მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

როგორი საზომით უდგებიან ჩვენი პროფესიონალური კავშირები და მათი ხელმძღვანელი ორგანო—სა-

კავშირო პროფკავშირთა საბჭო ზემოდ დასახელებულ ამოცანებს?

ავიღოთ მუშათა ეკონომიური პირობების გაუმჯობესების საკითხი. ევროპის რეფორმისტული პარტიების და ამსტერდამის ინტერნაციონალის ლიდერები ყოველ გზაჯვარედინზე ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირში მუშათა კლასს წართმეული აქვს უფლება ყოველგვარი თვითმოქმედებისა და ამასთან ერთად, ეკონომიური გაფიცვისაც. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მტკნარი სიცრუეა. მუშათა კლასს საბჭოთა კავშირში სრული უფლება აქვს გაფიცვის გამოცხადების, მაგრამ, თუ ამ უკიდურეს ზომას ის ძლიერ იშვიათად მიმართავს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონვეა ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოო საშუალებების ბატონ-პატრონი. ასეთ შემთხვევაში გაფიცვის გამოცხადება იქნებოდა საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლა. მუშათა კლასი თავისი ორგანიზაციების საშუალებით წინასწარ იკვლევს, თუ რამდენად იძლევა საშუალებას ამა თუ იმ წარმოების მდგომარეობა ხელფასის გადიდებისათვის და ამის მიხედვით, ყოველწლიურად კიდეც იზრდება შრომის ხელფასი. ამასთან ერთად, მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება ხდება აგრეთვე სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებით.

პროფკავშირები ზრუნავენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ვინაიდან მუშათა კლასი დარწმუნებულია, რომ ამის გარეშე შეუძლებელია ფიქრი მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. რამდენადაც მეტი მზადდება ნაწარმოები, იმდენად მეტად გაუმჯობესდება სახელმწიფოს ეკონომიური კეთილდღეობა და მასთან ერთად მუშათა კლასისაც.

ამასთანავეა დაკავშირებული წარმოების რაციონალიზაციისათვის ხელის შეწყობა. წარმოების რაციონალიზაცია ერთ-ერთი ზომაა სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვებისათვის და ამიტომაა, რომ პროფკავშირები მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ამის განსახორციელებლად წარმოებებთან არსებობს საწარმოო კომისიები, რომლებიც დროგამოშვებით იწვევენ საწარმოო თათბირებს. ამ თათბირებში მონაწილეობას იღებენ შეგნებული მუშათა აქტივი. თათბირებზე შუქდება წარმოებაში შემჩნეული ნაკლულოვანებანი და მიუთითებენ ადმინისტრაციას ამ ნაკლთა გამოსწორებისათვის. საწარმოო თათბირების მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ მას უაღრესად დიდი სარგებლობა მოაქვს წარმოების კეთილდღეობისათვის.

პროფესიონალური კავშირები სასტიკად ებრძვიან აგრეთვე დაწესებულებებში არსებულ ბიუროკრატიზმს. ეს სენი ჩვენ მივიღეთ ძველი რეჟიმიდან და ის სავსებით ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. მასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად მიჩნეულია მუშათა დაწინაურება საპასუხისმგებლო ადგილებზე. ეს ზომა უკანასკნელ ხანებში ფართედ ტარდება ცხოვრებაში პროფკავშირების მიერ და უკვე შესაფერი შედეგებიც გამოიღო. ბიუროკრატიზმი თანდათან მცირდება საბჭოთა დაწესებულებებში და მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად ის მთლიანად აღმოიფხვრება.

პროფკავშირები ზრუნავენ აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებში შრომის პირობების დაცვისათვის. არსებულ კოლექტიურ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებები ამ მიმართულებით და პირველ რიგში ზედმეტი მუშაობის აკრძალვა, რაც ზიანს აყენებს როგორც მუშის ჯანმრთელობას, ისე წარმოება-დაწესებულებებსაც. კოლექტიური ხელშეკრულებების ადგილობრივ გამტარებლები არიან ფაბ-ქარხ-ადგილკომები, რომლებთანაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა კომისიები. ამათში შრომის პირობების დაცვა და ზედმეტ მუშაობასთან ბრძოლა ეკისრება შრომის დაცვის კომისიებს, რომლებიც პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

პროფკავშირების საქმიანობაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს მუშების კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვა, რაც უცხო ხილია კაპიტალისტური ქვეყნების პროფესიონალური კავშირებისათვის. ამ მიზნით ეწყობა პროფესიონალური წრეები, სადაც იკითხება ლექციები სხვადასხვა თემებზე და მუშები ეცნობიან როგორც საერთაშორისო პროფმოძრაობის ისტორიას, ისე წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. ამასთან ერთად მუშებისთვის უმაღლესი ცოდნის მისაღებად დაარსებულია მუშფაკები და მათში მსმენელები იგზავნებიან პროფკავშირების დაბალი უჯრედების ხელმძღვანელობით.

არის მთელი რიგი სხვა საკითხებიც, რომლებსაც პროფკავშირები უწევენ ხელმძღვანელობას, მაგრამ ზემოდ აღნიშნულიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობის როლი აქვთ დაკისრებული საბჭოთა კავშირში პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

ყველა ზემოთქმული შეეხებოდა მხოლოდ შინაურ საკითხებს. ამასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს საკავშირო პროფსაბჭოს როლი საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლაში.

რამოდენიმე წელიწადია, რაც პროფსაბჭოს ყურადღება მიპყრობილია მთლიანობის განხორციელებისათვის. ამ მიზნით მან რამოდენიმეჯერ მიმართა ამსტერდამის ინტერნაციონალს, მაგრამ ეს ცდა ჯერჯერობით შესაფერ შედეგებს ვერ იძლევა, რაც უნდა მიეწეროს ამსტერდამის ინტერნაციონალში გაბატონებულ პროფბიუროკრატების სასტიკ წინააღმდეგობას, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ, თუ მთლიანობა განხორციელდა, ამ პროფბიუროკრატების ხელმძღვანელობას ბოლო მოეღება მთლიან ინტერნაციონალში.

პროფმოძრაობის მთლიანობის ჩანასახს წარმოადგენდა ინგლის-რუსეთის კომიტეტი, რომელიც გენსაბჭოს ბელადებმა ჩაშალეს გასულ წელში. ამ კომიტეტში პროფსაბჭოს წარმომადგენლების მიზანი იყო ინგლისის მუშათა კლასი დაერწმუნებია მათი ლიდერების გამცემლობაში. ნაწილობრივ ეს მიზანი უკვე მიღწეულია და ამაშია ამ კომიტეტის არსებობის დამსახურება. ევროპის მუშათა კლასმა ნათლად დაინახა, რომ მთლიანობის განხორციელება შეუძლებელია მანამდის, სანამ პროფკავშირების ხელმძღვანელობიდან არ განიდევნებიან რეფორმისტი ბელადები.

ამიერიდან მთლიანობისათვის ბრძოლა იწარმოებს არა ამ ლიდერების საშუალებით, არამედ პირდაპირ მასების უშუალოდ მიმართვით. ევროპის მუშათა კლასის გამემარცხენების ტენდენცია საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს მუშათა კლასი განთავისუფლდება მოღალატე ბელადების გავლენისაგან და მათზე გადაბიჯებით განახორციელებს პროფმოძრაობის მთლიანობას.

საკავშირო პროფსაბჭო, როგორც დღემდის, ისე ამიერიდანაც განაგრძობს არსებული გზით სვლას და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისევე წარმატებით დააგვირგვინებს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის საქმეს, როგორც მან შეასრულა პარტიის მიერ დასახული ამოცანები მუშათა კლასის შეკავშირებისა საბჭოთა კავშირში.

ს. ელიაძე.

# ხელოვნური ზღუდენი უნდა დაინგრეს

ისტორიულმა აუცილებლობამ მრავალი ათასი ქართველი, ყოფილი მენშევიკი, მიიყვანა საბჭოთა ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ. საქართველოს სინამდვილეში ეს დიდი მოვლენა იყო და არის: სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმულ რევლოიუციონურ ოჯახს შეემატენ ათასობით გამოცდილი მებრძოლები. მთელ რუსეთში ცნობილი რევოლიუციონური მასსები ერთი დროშის ქვეშ მოექცენ.

ეს ჭეშმარიტებად დიადი მოვლენა უაღრესად სასიამოვნო უნდა იყოს ორივე მხარისათვის — საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთათვისაც და ყოფ. მენშევიკებისთვისაც. საზოგადოთ ეს ასეც არის მაგრამ, ზოგან, განსაკუთრებით პროვინციებში, ჯერჯერობით კიდევ აქვს ადგილი გაუგებრობას. ეს არა ერთხელ აღნიშნულა. „ახალი გზის“ ფურცლებზე.

ჩვენ გვინდა, რომ პარტიისა და ხელისუფლების ყურადღება მივაქციოთ აფხაზეთზე. სამწუხაროდ, ახალგზელთა თბილისელმა ხელმძღვანელებმა თავიდანვე უყურადღებოდ დასტოვეს ეს მხარე, რამაც მეტად მძიმე პირობები შექმნა აქაურ ყოფილ მენშევიკებისათვის. აფხაზეთში მენშევიკურ პარტიას არ გამოუჩენია არავითარი აქტივობა. 1924 წლის შემდეგ კი აქაური მენშევიკები ხალისით მიემხრენ ახალგზელებს, გადადგენ შესაფერი ნაბიჯები და უფლებაც ჰქონდათ ეფიქრათ, რომ ისინი უკვე სანდო წევრები არიან საბჭოთა ოჯახის. ეს მოლოდინი არც თუ ისე გამართლდა და დღეს ყოფილ მენშევიკების მეტი ნაწილი თანამშრომლობის საშუალებას მოკლებულია.,,

სამწუხაროდ, ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოთა მოღვაწე ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ყოფ. მენშევიკს შეუძლია იყოს „ყოფილი“ და არა ჭეშმარიტი მენშევიკი. ადგილობრივმა ყოფ. მენშევიკებმა არა ერთხელ მიმართეს ყოფ. მენშ. ცეკასთან არსებულ განყოფილებას თხოვნით, რომ აფხაზეთშიც გამოეგზავნათ პასუხისმგებელი კაცი, თუნდაც დროებით, ადგილობრივ ხელისუფლებასა და ყოფ. მენშევიკებს შორის ურთიერთი ნდობის განსამტკიცებლად, მაგრამ ესეც ვერ მოხერხდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა პლატფორმაზე დამდგარ ყოფ. მენშევიკებს გულწრფელ თანამშრომლობისაკენ გზა გახსნილი უნდა ჰქონდეს. ამ მხრით გაუგებრობებს და ახალ რეპრესიებს ბოლო უნდა მოეღოს და ხელოვნური ზღუდენი საბოლოოდ უნდა დაინგრეს.

**აფხ. ყოფ. მენშევიკი.**

# სისხლიანი კვირა*)

ისტორიის ფურცლებს ამძიმებს ცხრა იანვრის (ძველი სტილით) საშინელება. იგონებ ამ დღეს და თვალწინ გულშემზარავი სურათი გეშლება.

ამ დღეს პეტერბურგის ქუჩებზე ორასიათასიანი მუშათა დემონსტრაცია გამოეფინა. მაგრამ ეს არ იყო მებრძოლი დემონსტრაცია. ღონე-მიხდილ მუშებს რევოლიუციონური წითელი დროშის ნაცვლად ხელებში ეჭირათ ხატები თვითმპყრობელურ მეფისა და დედოფლის სურათები და სამფეროვანი დროშები. იმათ სახეზე დუხჭირ ცხოვრებას, რკინის უღელივით, რომ დასწოლოდა, მძიმე დაღი დაემჩნია: სულ ერთიანად დაეხაზა კვალებად მათი უდანაშაულო ცხვრის თვალებიდან, უიმედობას რომ დაენისლა. მხოლოდ და მხოლოდ მოთმინება და ჩამქრალი სიცოცხლე გამობჟუტავდა. მათი დაფლეთილი ტანსაცმელიდან ცხოვრების აუტანელი პირობები: სიმშილი, სიცივე და სიტიტვლე გამოიყურებოდა.

ისინი ასე ფიქრობდენ: ჩვენსა და ჩვენ მწყალობელ მეფეს შორის ზღუდეა ამართული. მზღვარზე მეფის მოხელეები დგანან. მოხელეებს აქეთ კაპიტალისტები. უკანასკნელნი ჩვენი ბატონებია, ჩვენ მათი მონები ვართ. ჩვენ ვშრომობთ, დღე და ღამე ოფლში ვიწურებით. მაინც მშივრები ვართ, ულუკმაპუროთ ვიხოცებით, ტანზე ვერ შეგვიმოსავს, თავშესაფარი ვერ გვიშოვია, ჩვენი ცოლშვილი იძულებულია მათხოვრად აეკიდონ ქუჩებს, ჩვენი ბატონები კი, ჩვენი ოფლითა და სისხლით. გარყვნილებას ეძლევიან, განცხრომაში ატარებენ სიცოცხლეს. ეს არ იცის მეფემ. მეფის მოხელეები მოსყიდულია კაპიტალისტების მიერ. ისინი ხელს გვიშლიან ვაცნობოთ მეფეს ჩვენი ძაბუნი ცხოვრება. ისინი არ უმხელენ მეფეს ჩვენ სივაგლახეს, თორემ... თორემ ასე არ გაგვწირავდა. ის ჩვენ დაგვიფარავდა ჩვენ სილატაკისაგან, სიმშილისა და სიტიტვლისაგან. ის გააუმჯობესებდა ჩვენს მდგომარეობას. ჩვენი მწყალობელი მეფე... საჭიროა მხოლოდ დავსძლიოთ დაბრკოლება, გადავლახოთ მეფის მოხელეთა მიერ აშენებული ზღუდეები. წარვდგეთ ძეკის წინაშე და წარუდგინოთ უქვეშევრდომილესი თხოვნა. ჩვენი „პეტიცია“.

აი, რა იმედებით მიდიოდა ეს ზღვა ხალხი მოწყალე მეფესთან. მეფისადმი წარდგენილ „პეტიციაში“, ნათქვამი იყო:

— ჩვენ, პეტერბურგის მუშები, მოვედით შენთან. ჩვენ უბედურნი, შეურაცყოფილი მონები ვართ, მიწასთან გასწორებული დესპოტიზმით და თვითნებობით. როცა გაივსო მოთმინების ფიალა — ჩვენ აღვკვეთეთ მუშაობა და ვსთხოვთ ჩვენ პატრონებს მოეცათ მხოლოდ ის, რის უმისოდაც ჩვენ სიცოცხლე აღარ შეგვიძლია. მაგრამ ყველაფერი ეს უარყოფილ იქნა... მეფევ, უარს ნუ ეტყვი შენს ხალხს დახმარებაზე. დაანგრიე ის კედელი, რომელიც აღმართულია შენსა და შენს ხალხს შორის. უბრძანე, რომ აღსრულდეს ჩვენი თხოვნა. შენ შეგიძლია გააბედნიერო რუსეთი. უკე თუ ეს არ მოხდება, ჩვენ მზად ვართ აქვე დავიხოცოთ. ჩვენ მხოლოდ ორი გზა-ღა დაგვრჩენია:— ან თავისუფლება და ბედნიერება, ან საფლავი. მიგვითითე მეფევ, ამათგან უმჯობესზე და ჩვენ უსიტყვოთ წავალთ იმისკენ. თუნდაც ეს გზა სიკვდილისაკენ იყოს მიმართული. დაე, ჩვენი ცხოვრება იყოს მსხვერპლი მრავალწამებულ რუსეთისათვის. ჩვენ არ გვენანება ეს მსხვერპლი. ჩვენ სიამოვნებით მივიტანთ მას რუსეთის სამსხვერპლოზე.

„მამა მეფემ“ აღასრულა მუშების მოთხოვნილების უკანასკნელი მუხლი. დაიღვარა სისხლი უამრავი მუშებისა. პეტერბურგი აივსო დახოცილ მუშათა გვამებით.

სისხლად შეღებილი პეტერბურგის ქუჩები სტიროდენ უსწორო ბრძოლაში დაკარგულ ძმებს. ქვითინებდენ უპატრონოდ დარჩენილი ობლები და მუშათა უბნებში. გამარჯვებას ზეიმობდა მხოლოდ თვითმპყრობელი მეფე და მისი ამსონი ჯალათები.

მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდა ბეცი თვითმპყრობელი. ცხრა იანვარს ნიკოლოზ-რომანოვის მთავრობამ „დახვრიტა ამ გულუბრყვილო ხალხის მისდამი რწმენა“. მალე მუდარა მუქარათ შეიცვალა. ცხრა იანვარს ცად აშლილი წითელი აჩრდილები მიმოეფინა რუსეთის იმპერიას და ხალხს საშვილიშვილო ბრძოლაში იწვევდა. ცხრა იანვარმა გადასძახა რუსეთის ხალხს ბრძოლის ყიჟინა და დაანთო დაუშრეტელი რევოლიუციის ცეცხ-

*) ეს წერილი წარსული კვირის ნომერში ვერ დაიბეჭდა უადგილობის გამო. **რედ.**

ლი. ის ყველაზე უმალ შეიჭრა ყველა ჩაგრულთა და ტვირთმძიმეთა უბნებში. მან შეაკავშირა და შურის საძიებლად გამოიყვანა ყველა მაშვრალთა გულშემატკივარი და თავისუფლების მოტრფიალე.

ცხრა იანვრიდან ცხრა თვის განმავლობაში მან უჩვენა პირველი მედგარი წინააღმდეგობა თვითმპყრობელობას. ხოლო 12 წლის შემდეგ საბოლოოდ ლახვარი ჩასცა მას და უკანასკნელად აუგო წესი.

და დღეს, დახოცილ თანამოძმეთა ძვლებიც კი კმაყოფილების გრძნობით შეინძრევიან ცივ სამარეში. კმაყოფილებას იგრძნობენ ისინი, როცა იმათ საფლავზე რევოლიუციის გმირები დააგუგუნებენ სამგლოვიარო ჰიმნს, როცა მუშების ფოლადის მკლავებში ფრიალებენ თავისუფლების წითელი დროშები, როცა მათი მხნე და ამაყი ხმა საერთაშორისო რევოლიუციისაკენ მოუწოდებს საერთაშორისო პროლეტარიატს.

**ისიდორე კუპრაძე.**

# ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

**II.**

ბიუროკრატიზმს ხელს უწყობს კიდევ ერთი გარემოება, ჩვენ, სამწუხაროდ, ნაკლებად გვაქვს შეგნებული რევოლიუციონური კანონიერების მნიშვნელობა. ბევრს მუდამ პერმანენტიული ნგრევის ხანა გონია. ფსიქოლოგიურად კანონიერებისათვის შეჩვევა რევოლიუციონერებისთვის ძნელია. მთელს შენს სიცოცხლეში კანონების უვარგისობაზე ლაპარაკობდი, მათ ებრძოდი, ახლა მოდი და უმტკიცე ქვეყანას არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, რომ კანონიერება დღეს ჩვენთვის აუცილებელია. ეს ცოტა არ იყოს ბევრს ეჩოთირება. კანონი ფეტიში კი არ არის, ის ჩვენ შევქმენითო. გაიგონებთ ხშირად.

სწორია ასეთი მსჯელობა?

კანონი რომ ჩვენ შევქმენით აქედან უწინარეს ყოვლისა ის დასკვნა გამოდის, რომ ყველაზე უფრო ჩვენ უნდა ვიყოთ დაინტერესებული — ის ცხოვრებაში გავატაროთ, დავანახოთ ყველას, რომ კანონი ყველასათვის სავალდებულოა. კანონის შეცვლა და უარყოფა შეუძლია მხოლოდ იმ ორგანოს, რომელმაც ის დააკანონა. ალმშენებლობას სჭირდება გარკვეული უფლებრივი არე, უფლებრივი კალაპოტი, რომ არეულ-დარევას ალაგი არ ექნეს და მან მწყობრად იწარმოოს.

მაშასადამე, ვინც რევოლიუციონურ კანონიერებას ებრძვის—ის ხელს უშლის სოციალისტურ ალმშენებლობას, ხელს უწყობს ანარქიას, არევდარევას და, ცხადია, ემსახურება რევოლიუციისა და სოციალიზმის მტრებს.

ბიუროკრატიზმი ჩვეულებრივად გამოიხატა შემდეგში:

1) საქმის გაჭიანურება.
2) საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება.
3) უხეში, არა ამხანაგური მოპყრობა და მიღება.
4) ცნობის დროზე გაუცემლობა და სხვა.

ჩემის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთხოვნელთა წესიერსა და ამხანაგურ მიღებას. ძველი რეჟიმი, სხვათა შორის, ხალხს იმიტომაც სძულდა, რომ მას კაცი ადვილად ვერ გაეკარებოდა.

თვითმპყრობელობის დროს დაწესებულებაში შესვლის თანავე მშრომელი გრძნობდა მისთვის უცხო და მტრულ ატმოსფერას. ყოველი მოხელე მას თითქოსეუბნებოდა: შენ აქ რად მოეთრიე, აქ მოსვლა როგორ გაბედე.

მდგომარეობა დღეს რადიკალურად შეცვლილია და უნდა ითქვას, რომ მიღებასაც დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მუშას, გლეხს და თუ გნებავთ, იმავე ინტელიგენტს არაფერი ისე გულს არ გაუტეხს, როგორც უდიერი, არა ამხანაგური მიღება. როცა მუშა და გლეხი დაწესებულებაში მიდის, ის სრული დარწმუნებულია, რომ იქ შეხვდება ნამდვილი მისი მეგობარი, მისი დამცველი ამხანაგი, რომელიც მას საქმესაც გაუკეთებს და ამხანაგურადაც მიიღებს, თუ ამის ნაცვლად მას დახვდა ბიუროკრატი, რომელიც მას უხეშად, უემურად ლებულობს, რა თქმა უნდა, ის სასოწარკვეთილებაში ვარდება, გული უცრუვდება. განა ამისთვის ვიბრძოდითო. ამბობს ის, ასეთ შემთხვევაში და ძლიერ უკმაყოფილო რჩება.

ფსიქოლოგიურად ეს სავსებით გასაგებია. ყოველი ადამიანი დიდი ბავშია. ესეც რომ არ იყოს, ჩვენი ფსიქოლოგია ვერ ურიგდება ისეთ მდგომარეობას, როცა შენი ამხანაგი, რომელსაც შეეზარდე, რომელთანაც წლების განმავლობაში ერთად გიბრძოლია, შენ ისე გიყურებს, თითქოს არც კი გიცნობდეს, ხეირიანად თავს არ დაგიკრავს და ხელს არ ჩამოგართმევს, თითქოს ნაპოლეონი დადიოდეს რუსთაველის პროსპექტზე და არა შენი თანამებრძოლი ამხანაგი და მეგობარი, შენსავით ბოგანო და შენსავით გმირი.

პირდაპირ, სირცხვილია, რომ დაწესებულებაში მივიდეს გლეხი, მუშა, ინტელიგენტი რევოლიუციონური წარსულით და დაწესებულებების მეთაურის ნახვა ვერ მოახერხოს.

ადამიანი რომ ამხანაგურად მიიღო და მოუსმინო— ეს მეტად ადვილი საქმეა, თუ კი მართლაც არ გადავგვარდით. სულ სხვა არის მაგ.—საქმის გაკეთება, ყოველი საქმე არ გაკეთდება თვალის დახამხამებაში ან შეიძლება სულაც ვერ გაკეთდეს. ამიტომ დაწესებულების ყოველი ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკი ვალდებულია მთხოვნელი დაუყოვნებლივ მიიღოს, ამხანაგურად მოუსმინოს და რაც მისგან დამოკიდებულია სწრაფად გააკეთოს, ხოლო რაც მარტო მისგან არ არის დამოკიდებული— დააჩქაროს.

აქ შეიძლება მეორე უკიდურესობასაც ექნეს ადგილი. შესაძლებელია რა კი დაწესებულებაში ამხანაგი ეგულებათ ყველამ იაროს მასთან, უპარდონოთ, წითელი ხარივით, დაწესებულებას უტეს ჯარი მიადგეს.

ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ჩვენ დისციპლინა არ გვიყვარს, ძმა-ბიჭობა უფრო გვეხერხება. ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა ნორმალურ მუშაობას ხელს შეუშლის, შეაფერხებს და დრო უნაყოფოდ დაიკარგება.

ეს ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ამის დაძლევა და მოწესრიგება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე გაბიუროკრატებული ამხანაგის კალაპოტში ჩაყენება და მისი უდიერობის ატანა.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა პრესას, იგი არის და უნდა იყოს პირუთვნელი მსაჯული, რომელიც გამოიტანს თავის მართალსა და ულმობელ განაჩენს ყოველ ბრუდე მოვლენაზე. მშრომელთა ფართო მასა დიდის ნდობით უყურებს ბეჭდვითი სიტყვას, გაცილებით უფრო მეტი ნდობით, ვიდრე ზეპირ სიტყვას და დიდ ანგარიშსაც უწევს მას. გლეხებში მე ხშირად გამიგონია: ჩვენში საგაზეთო ამბავი მოხდაო, ესე იგი, როცა არა სწორი, უსამართლო და ბრუდე ამბავი მოხდება, მისი ჩამდენი უნდა „ჩავარდეს“ უეჭველად გაზეთში, გაზეთში „ჩავარდნა“ კი უდიდესი ზნეობრივი სასჯელია იმათთვის, ვინც გაზეთში მოხვდა თავისი უარყოფითი მოქმედების თუ საქციელის გამო. ასე ფიქრობს ფართო მასა და მართალიც არის.

საზოგადოებრიობის მსჯავრი ყოველთვის იყო და იქნება უდიდესი იარაღი სხვადასხვა უკანონობისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში. განსაკუთრებით საჭიროა იგი ისეთ დიდ და არაჩვეულებრივ საქმეში, რომელსაც სოციალისტური აღმშენებლობა ეწოდება, ამ საქმეს ეტმასნება მრავალი უცხო ელემენტი, რომელსაც ხშირად არაფერი აქვს საერთო არამც თუ სოციალიზმთან, არამედ უბრალო რიგიანობასთან და ელემენტარულ მოქალაქეობრიობასთანაც კი.

ამ ფრონტზე ჩვენ ვხედავთ ახალ ძალებს — მუშკორებისა, გლეხკორებისა სამხკორებისა და სხვა არმიებს, რომლებიც სასტიკად ებრძვიან ბიუროკრატიულ საქმიანობას და მის გამხრწნელ გავლენას.

ბობოლებმა და აქა-იქ მოკალათებულმა ბიუროკრატებმა უკვე იგრძნეს. სასიკვდილო საფრთხე, რომელიც მათ ევლინება საბჭოთა საზოგადოებრიობის— მისი მუშკორებისა და პრესის სახით— და კიდეც შეებენ მათთან ბრძოლაში. ჩვენ ვიცით არა ერთი მაგალითი ამ ნიადაგზე მუშკორების მოკვლის, სამსახურიდან დათხოვნის და სხვა შეურაცყოფის.

ამ ახალ ძალას უნდა მიეცეს მეტი სარბიელი და სრული გარანტია, რომ მისი ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

მეორეს მხრით, გაზეთისათვის მიწოდებული ცნობა უნდა იყოს აბსოლიუტურად სწორი. ამისათვის ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ყოველ ახალ ცნობას წინასწარ შეამოწმებდეს მუშკორებისა და გლეხკორების ბიუროები, რომ ბიუროკრატსა და ბოროტმოქმედების ჩამდენს გასაქანი არ ჰქონდეს.

საბჭოთა პრესა დიდ ყურადღებას აქცევს მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებს, საჭიროა არა ნაკლები ყურადღება იმ მოვლენებისადმი, რომლებიც აფერხებს და აბახინჯებს სოციალისტურ საქმეს, აყენებს მას ჩრდილს და გულს უტეხს მასზე იმათ, ვინც ათეული წლების განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა სოციალისტური მომავლისთვის.

საბჭოთა რესპუბლიკის ყოველი თანამშრომელი უნდა დარწმუნდეს, რომ კედლის გაზეთები, მუშკორები და გლეხკორები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით კი არ არის გამოგონილი, არამედ იგი და მთელი საბჭოთა პრესა წარმოადგენს იმ უდიდეს ძალას, რომლისათვის ანგარიშის არ გაწევა „ხელს არ მისცემს" არავის!

თუ წინედ ამბობდენ: „სიმართლის მთქმელს ცხენი უნდა ყავდეს მზად, რომ გაიქცესო", დღეს უნდა შეიქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ გასაქცევად საქმე სწორედ ბიუროკრატს შეექნეს და ისე, რომ ვერაფერმა ცხენმა ვერ უშველოს.

ლეო შენგელაია.

# 1 9 2 8

ასტროლოგები კარგა ხანია აშენებენ მრავალ კომბინაციებს ზემო მოყვანილ რიცხვზე. ეს საკვირველიც არ არის, რადგანაც წარმოდგენილი რიცხვი ბევრ საცდელ შესაძლებლობას იძლევა.

ამას წინაზე ერთი ამერიკელი კორესპონდენტი ასეთ დასკვნებს აკეთებდა: პირველი ორი რიცხვის ჯამი უდრის ორი უკანასკნელის ჯამს (1+9=2+8). თუ მესამე რიცხვს პირველს გამოვაკლებთ, დავინახავთ რომ ის უდრის მეორე რიცხვს მეოთხეს გამოკლებით (2—1=9—8). აქედან დასკვნა: საიდანაც არ უნდა მიუდგეთ, რიცხვი სწორ ბალანს იძლევა, ამიტომ ახლად დაწყებული წელი საშუალო წლად რაიმე, განსაკუთრებული ცვალებადობის აღუნიშვნელობით უნდა დამთავრდესო.

დასახელებული ავტორის ექსპერიმენტი გარეგნულ ინტერესს მოკლებული არ არის. პირიქით, ის მეტად საყურადღებოა: ერთობ იშვიათად შეხვდებით ასეთ რიცხვობრივ კომბინაციას. მიმდინარე საუკუნეში დაახლოვებით ასეთ რამეს 1919 წელი იძლეოდა (1+9=1+9 და 1—1=9—9), მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მიმდინარე წელი 31 დეკემბერს სწორ ბალანს მოგვცემს. შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა და ეკონომიური ატმოსფერა ერთობ სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო დასკვნებს გვპირდება.

აღვნიშნოთ თუნდაც მარტო ერთი მთავარი მოვლენა, რომელიც დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკის ბერკეტად არის მიჩნეული— არჩევნები. 1928 წელს უნდა მოხდეს ოთხს უძლიერეს სახელმწიფოში საპარლამენტო არჩევნები: ივნისში—საფრანგეთში, მაისში— გერმანიაში, ნოემბერში— შეერთებულ შტატებში და უთუოდ წლის ბოლოში—ინგლისში. მოკლეთ რომ ვთქვათ, 1928 წელი— არჩევნების წელია. ისმება ბუნებრივი საკითხი: მოიტანს თუ არა რაიმე ცვალებადობას ეს არჩევნები?

უნდა ვიფიქროთ, რომ კი.

ყველაზედ უფრო მეტ ინტერესს წარმოადგენს ევროპის სახელმწიფოების არჩევნები. ამერიკის არჩევნები საგრძნობელ განსხვავებას ვერ მოგვცემს, ვინაიდან სულ ერთია ვაშინგტონის პარლამენტში იქნება რესპუბლიკანური თუ დემოკრატიული უმრავლესობა. ბოლოს და ბოლოს ეს პროგრამულ განსხვავებას არ მოგვცემს. საბჭოთა კავშირისათვის ამ შემთხვევაში უფრო პერსონალური საკითხი დგას. კეთილგანწყობილი პირები ორივე პარტიის რიგებში მოიპოვება. საკითხის სიმძიმე მდგომარეობს მხოლოდ ამ პირთა რაოდენობაში. გასული წლინახევრის პრაქტიკა ამ მხრივ არ იძლევა საბუთს უარყოფითი დასკვნებისათვის.

საფრანგეთის და გერმანიის არჩევნები ერთი მეორეზეა დამოკიდებული. უკანასკნელი არჩევნები კიდევ ომის ფსიხოზის ქვეშ მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ზომები იყო მიღებული, რათა არჩევნებს ერთმეორეზე გავლენა არ მოახდინა, რისთვისაც საარჩევნო ვადებს შორის მხოლოდ ერთი კვირა იყო, შედეგი სრულიად წინააღმდეგი იყო, გერმანიის რეიხსტაგში გაძლიერდა მემარჯვენე ფრთა, საფრანგეთში კი მემარცხენე ბლოკმა მოიპოვა უფრო მეტი ხვედრითი წონა. ამ ამ მხრივ მიმდინარე წლის არჩევნებიც ურთიერთ ზეგავლენის ქვეშ იქნება, მაგრამ გასული საპარლამენტო კონტრასტი უფრო ნაკლებათ არის მოსალოდნელი.

ამ აზრის სასარგებლოთ ლაპარაკობს ის მოვლენა, რომ ომის ფსიხოზმა თანდათან დაიკლო. ამას დაერთო ის გარემოება, რომ რენის ოლქის ნაწილი ოკუპაციისაგან განთავისუფლდა. მეორეს მხრით მიმდინარე არჩევნებში არა ნაკლებ როლს ითამაშებს ისევ ეს ოკუპაციის საკითხი და უკანასკნელ ხანებში წამოჭრილი კამათი დოუესის გეგმის გადასინჯვის შესახებ. ამ გარემოებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი საფრანგეთში მემარჯვენე ფრთას. რაც შეეხება გერმანიას, უნდა ითქვას, რომ მემარჯვენე კოალიციის დღეები დათვლილია, ამას ხელს უწყობს მარქსის მთავრობის შინაური რეაქციონური პოლიტიკა და პირველ ყოვლისა, უკვე შერყეული სოციალური ზავი, რაც ეკონომიური საკონიუნქტურო ბარომეტრის თანდათანობით დაწევით აღინიშნება. გერმანიის არჩევნებში მემარცხენე ფრთის კარგი პერსპექტივები აშკარაა. მიუხედავად ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკისა, სოც.-დემოკრატების შანსება მაინც გადიდებულია.

უკეთესი პირობებია კომპარტიისათვის, რამდენადაც საქმე გვაქვს გაძლიერებული კლასობრივ ბრძოლასთან. აქ შეუძლია რეაქციონური როლი ითამაშოს რუთფიშერ-მასლოვის ჯგუფმა. მართალია, ამ ჯგუფს არავითარი პერსპექტივა არა აქვს, მაგრამ, თუ კომპარტიამ

ენერგიული ზომები არ მიიღო მის წინააღმდეგ, შესაძლებელია მან შესძლოს მუშების ერთი ნაწილის ხმების დაქსაქსვა, რაც, ცხადია, ოპოზიციონურ ჯგუფს სარგებელს არ მოუტანს, სამაგიეროდ კომპარტიის ხმების საერთო რიცხვზე შეუძლია გავლენა მოახდინოს. საერთოდ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც ხელსაყრელ შედეგებს უნდა მოველოდეთ.

ინგლისის პარლამენტის არჩევნების საკითხი ჯერ კიდევ გამოურკვეველია. მოსალოდნელია, რომ პარლამენტი მეფის დეკრეტით წლის შუა რიცხვებში იქნეს დათხოვილი, მაშინ 90 დღის განმავლობაში ახალი არჩევნები უნდა მოხდეს. ერთი დიდი უპირატესობა აქვს ინგლისის მომავალ არჩევნებს. ეს ისა, რომ, ამ არჩევნებში პირველად ქალები მიიღებენ ფართო მონაწილეობას. ამის შესახებ საზოგადოებრივი აზრი ორ ნაწილათ არის გაყოფილი. ერთი ფიქრობს, რომ ქალები ბოლდუინის ხათრით კონსერვატორებს გაამაგრებენო, რადგანაც ქალების ხმის უფლების მიმნიჭებელი ბოლდუინის მხარეზეაო. ეს, ასე ვსთქვათ, პირადი სიმპატიის საქმეა. სამაგიეროდ ცნობილ პოლიტიკოსებს არჩევნებში ქალების დაშვება მუშების გაძლიერების მომასწავებლად მიაჩნიათ. როგორც არ უნდა იყოს, მუშათა პარტიის შანსები დიდია. აგრეთვე ლიბერალებიც, შედარებით გამოცოცხლდენ. კონსერვატორების რეაქციამ ავტომატიურათ შეუწყო ხელი მემარცხენე ფრთის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ თვით მემარცხენე წრეებშიც კი მოხდა ერთგვარი მარჯვნით გადახრა. ეს ერთბაშად მუშათა პარტიის ანგარიშზე უნდა დაიწეროს. არჩევნების საერთო შედეგი უნდა იქნეს მუშათა პარტიის და ლიბერალების დამობილება. მაკდონალდის ახალი ერას პოლიტიკური ჰორიზონტი უკვე ნათლად ფერავს. ეს კი, ყოველ მიზეზს გარეშე, შეიქნება კომპარტიის გაძლიერების სტიმულათ.

გაუკეთოთ ჯამი ზემოთ ნათქვამს: მიმდინარე საარჩევნო წელი ასტროლოგიურ წინასწარმეტყველებას ვერ დაადასტურებს. პირიქით, მოსალოდნელია მთელი რიგი პერტურბაციებისა, რომლის პოლიტიკურ შედეგად ლიბერალურად განწყობილი მემარცხენე ბლოკი უნდა შეიქნეს. ეს გარემოება კი აუცილებლად შეიტანს კორექტივებს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მემარჯვენე წრეების თარეშში, რაც, ცხადია, წლის დასასრულს პოლიტიკურ სასწორს უსათუოდ მარცხნივ გადახრის.

ლი—ლი.

## ამსტერდამის ინტერნაციონალის იდეური სიკოტრის ერთი ნიმუში

კაპიტალისტური ევროპის მუშათა კლასის გამარჯვების ერთ მთავარ წინა პირობას წარმოადგენს მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალებში გაბატონებული სოციალ-გამყიდველების „ხელმძღვანელებისაგან“ განთავისუფლება. სანამ მუშათა მასებს კიდევ არ დაუღწევია თავი—ბაუერ-მაკდონალდ-რენოდელების „მზრუნველობისაგან“ და მათი სახით ბურჟუაზიის ეყოლება თავისი წარმომადგენლები მუშათა ორგანიზაციებში, რათა ხელი შეუშალოს რევოლიუც. მუშ. კლასის ორგანიზაციულად დარაზმვას და გაერთიანებას, უზრუნველყოფილია ბურჟუაზიის გამარჯვება მუშათა კლასის წინააღმდეგ წარმოებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლებში. სანამ კიდევ არსებობენ პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე ნაციონალურ და საერთაშორისო პაციფისტური ორგანიზაციების და მოკალათებულ მაკდონალდებს საშუალება ეძლევათ მუშათა კლასის ხელმძღვანელობის ხელში გამოსვლის და მორიგი ღალატის ჩადენის, ძნელია მუშათა მოძრაობის განვითარების რევოლიუციონური გზით წაყვანა, მისი გამარჯვების უზრუნველყოფა.

იმ სისტემატიური გამცემლობის შემდეგ, რაც ჩაადინეს მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალის პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა 1914 წლიდან, მსოფლიო ომის დროსა და მისი დასრულების შემდეგ, ძლიერ საეჭვოა, რომ მათ კიდევ ჰქონდეთ რაიმე იდეური გავლენა მუშათა კლასზე. ამაში თვითონაც დარწმუნებული არიან. რომ ეს ასე არ იყოს, მაკდონალდები ჯერ კიდევ არ წავიდოდენ ბურჟუაზიის წინაშე ისეთ აშკარა და ოფიციალურ კაპიტულიაციაზე, რასაც ჰქონდა ადგილი უკანასკნელ კონგრესებზე.

მაგრამ იდეური გავლენის დაკარგვა, როდესაც მათ ხელშია კიდევ მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელი აპარატები, სრულიადაც არ უშლის ხელს, რომ კვლავ განაგრძონ ძველი საქმე, ახალი დაბრკოლებები შეუქმნან მუშათა მოძრაობას და გამოვიდენ კაპიტალის დასაცავად. ამ ამოცანის შესასრულებლად მაკდონალდებს უკვე აღარც სჭირდებათ პაციფიზმის ნიღაბიანტარება. მათი მოღალატეობა და კავშირი ბურჟუაზიასთან იმდენად აშკარა ფაქტია, რომ თვითონაც აღარ ცდილობენ ამის უარყოფას. პირიქით, კლასთა თანამშრომლობისა და ნაციონალურ ბურჟუაზიის დაცვა არის ოფიციალურად წამოყენებული მათი სამოქმედო პროგრამა! რითაც იდეურ გამართლებას აძლევენ თავის „სასახელო მოღვაწეობას“.

ინგლისის ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს მიერ წამოყენებულ „მრეწველობაში მშვიდობიანობის დაცვის“ თეორიას, რომლის პრაქტიკულ განხორციელებას უკვე შეუდგენ მაკდონალდ-ზენტენერები მწარმოებლებთან ერთად, ის დანიშნულება აქვს, რომ კიდევ უფრო მეტად დაუმორჩილონ მუშათა კლასი პოლიტიკურად და ეკონომიურად კაპიტალისტურ სისტემას, ხელი შეუწყონ რეაქციის გამარჯვებას, რათა ამით მოახერხონ მუშათა ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის შენარჩუნება და რევოლიუციონური სიტუაციის შესუსტება.

მაგრამ ეს საშუალება ვერ იხსნის რეფორმისტ-პროფბიუროკრატებს ეხლანდელ კრიზისისაგან. მათი ეხლანდელი მდგომარეობა მეტად უნუგეშოა, რადგან ეს არის დამარცხებისაკენ მიმავალ გზაზე ის პოზიცია, სადაც მათ შეეძლოთ უკანასკნელი შესვენება.

იდეურად დამარცხებული და გაკოტრებული რეფორმისტული პროფკავშირების ორგანიზაციული რღვევა უკვე დიდი ხნის დაწყებული პროცესია. მიუხედავად იმ მატერიალური შევიწროვებისა, და პოლიტიკურად წნიფაათო მდგომარეობისა, რაც აუცილებელია რეფორმისტული პროფკავშირებიდან გასვლის შემდეგ, მუშათა მასები მაინც სტოვებენ მას და ეწევიან ბრძოლას აპარატში გაბატონებულ პროფბიუროკრატების წინააღმდეგ.

ამსტერდამის ინტერნაციონალში გაერთიანებულ ორგანიზაციების წევრთა რიცხვი, 1920 წ. შედარებით, 30 პროცენტითაა შემცირებული. ამ რიცხვიდან 3 მილიონი პროფინტერნის მომხრეა, ხოლო დარჩენილი რიცხვის 80 პროცენტი მოდის მხოლოდ გერმანიის და ინგლისის პროფკავშირებზე. ასე რომ, ეს „საერთაშორისო პროფესიონალური გაერთიანება“ არსებითად მარტო ინგლის-გერმანია-საფრანგეთის სოციალ-იმპერიალისტების ორგანიზაციას წარმოადგენს, რომლებიც, ნაციონალური ბურჟუაზიის დავალებით, განუწყვეტელ ბრძოლას ეწევიან, ერთმანეთის წინააღმდეგ ინტერნაციონალში გაბატონებისათვის.

წარსული წლის აგვისტოში პარიზის კონგრესზე ამ საკითხის გარშემო უთანხმოებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის დელეგაციების შორის, რომ მოუხერხებელი შეიქმნა ინტერნაციონალის გენერალური მდივნის და რეზიდენციის არჩევა.

ინგლისის დელეგაცია, რომლის ხელში იყო მე-4 კონგრესამდე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობას, დამარცხდა პარიზის კონგრესზე. მისი დამარცხების და ინტერნაციონალის ხელმძღვანელობისაგან მოხსნის ერთ-

ერთი მიზეზი შეიქმნა ის მემარცხენე ფრაზეოლოგია, რაც მაშინ კიდევ ახასიათებდა ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელებს დასაბჭოთა პროფკავშირებთან დაახლოვებისა და მუშათა მთლიანი ფრონტის იდეის წამოყენება.

გერმანიის დელეგაციამ კონგრესზე არ დაკმაყოფილდა საბჭოთა პროფკავშირებთან მთლიანი ფრონტის შექმნის წინააღმდეგ გალაშქრებით და უფრო მარჯვნივ აილო კ...სი, შეეცადა ამერიკის შრომის ფედერაციასთან დაახლოვების ნიადაგის მომზადებას. მან მოინდომა დაერწმუნებინა გომპესის ფედერაციის ხელმძღვანელები, რომ ამსტერდამის გაერთიანების მიერ უარყოფილია რევოლიუციური მეთოდების დეკლარაციული წამოყენებაც, რომლის პრაქტიკულად განხორციელებისაგან ის ყოველთვის შორს იდგა, და აღარ არის ის დაბრკოლება, რაც უშლიდა ხელს ამერიკის ფედერაციის ამსტერდამში გაერთიანებას.

თუ გომპერსის ერთგული მემკვიდრე ფედერაციის ერთანდელი თავმჯდომარე გრინი კონტაქტში ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ლათინური ამერიკის დასაპყრობათ შექმნილ პანამერიკულ კავშირთან, თუ ის ლოსანჟელოს კონგრესზე ამერიკის მუშებს აფრთხილებდა, რათა თავი შეეკავებინათ საკუთარი პოლიტიკური პარტიის შექმნისაგან, რომ ამით ხმები არ დაკლებოდა მომავალ არჩევნებში „მუშათა კლასის მეგობრებს“ რესპუბლიკანურ და დემოკრატიულ პარტიებს, თუ მას არ დააკიწყდა მისალოცი დეპეშის გაგზავნა ამერიკის ფაშისტური ლეგიონისათვის, არც ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის სოციალ-გამყიდველები ჩამორჩებიან მას ამ მხრივ. მათ არა ნაკლებ მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული ევროპის ბურჟუაზიასთან და რეაქციონურ ფაშისტურ ორგანიზაციებთან; არა ნაკლებ ეხმარებიან მათ რევოლიუციონური მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებაში, არა ნაკლებ თანამშრომლობენ ევროპის იმპერიალისტებთან პარლამენტში, ერთა ლიგაში და სხვა რეაქციონურ დაწესებულებებში.

ინგლისის დელეგაციამ, რომელმაც ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე კიდევ ჩაატარა მემარცხენე მანევრები, ორი თვის შემდეგ, ედინბურგის ყრილობაზე სავსებით გაამართლა გერმანიის დელეგაციის გამოსვლა. პერსელ-ხიქსებმა, რომლებიც მემარცხენე მოთხოვნილებებით გამოდიოდენ პარიზის კონგრესზე და იცავდენ მუშათა ფრონტის მთლიანობას საბჭ. კავშ. მუშებთან ერთად, თვითონვე მისცეს ხმა ინგლის-საბჭოთა პროფმოძრაობის მთლიანობის კომიტეტის დაშლას და გამოდიან ინგლისის ბურჟუაზიასთან საერთო ფრონტისა და თანამშრომლობის დამცველის როლში.

ედინბურგის კონგრესის შემდეგ, ტრედიუნიონების გენსაბჭოს მემარცხენე ლიდერებმა უკვე მოიხსნეს ის მემარცხენეობის ნიღაბი, რისთვისაც იქნენ დასჯილი პარიზის კონგრესზე და რითაც კიდევ შეეძლოთ მასების შეცდომაში შეყვანა.

მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალი, ინგლისის მუშათა პარტია და გენსაბჭო ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ და ყოველთვის წინასწარ შეთანხმებული არიან, განაწილებული აქვთ როლები ნაციონალური ბურჟუაზიის დავალების შესასრულებლად. თუ რამ წინააღმდეგობა და უთანხმოება არის მათ შორის, მე-2 და ამსტერდამის ინტერნაციონალებში გაერთიანებულ ორგანიზაციების ლიდერების შორის, ეს არის ანარეკლი იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც აქვს ადგილი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. მაგრამ ეს უთანხმოება სრულიადაც არ უშლის ხელს მათ, რომ ერთად და ყველამ ცალცალკე ემსახურონ რეაქციის საქმეს.

ამ დღეებში ჩატარებული ამსტერდამის ალმასკომის სესიის მუშაობა ბერლინში საუკეთესო ილიუსტრაციას იძლევა, თუ რამდენად დაკნინებულა, დაცემულა იდეურად და დაშლილა ორგანიზაციულად რეფორმისტული კავშირების ეს „საერთაშორისო“ გაერთიანება.

სესიას სრულიად არ შეუწუხებია თავი და არც არავინ მოელოდა, მისგან, რომ ის შეუდგებოდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხების შესწავლას და გარჩევას და რევოლიუციონური დირექტივების შემუშავებას. ამ საკითხების წამოყენება დიდი ხანია, რაც აკრძალულია ინტერნაციონალის წესდებით.

სესიის დღის წესრიგი ამოიწურებოდა მხოლოდ ერთი მეტად მარტივი საკითხით, რომლის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა პარიზის კონგრესზე. ეს იყო ინტერნაციონალის გენერალური მდივნის და რეზიდენციის არჩევა. ხუთი დღე გასტანა სესიამ, ხუთი დღის განმავლობაში მხოლოდ ეს ერთი საკითხი იყო გასარჩევი, რისთვისაც კომისიების და ქვეკომისიების არჩევაც კი შეიქმნა საჭირო, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა შეთანხმების მიღწევას. ორჯერ შეიკრიბა ინტერნაციონალი, ორივეჯერ, თითქმის, მხოლოდ ეს ერთი ელემენტარული ორგანიზაციული საკითხი იყო გადასაწყვეტი და ესეც გადაუწყვეტავი დარჩა.

ეს უბრალო, მაგრამ მეტად მეტყველური ფაქტი ფრიად დამახასიათებელია მისი, თუ რას წარმოადგენს ამსტერდამის ინტერნაციონალი, რომელიც ერთ დროს პრეტენზიას აცხადებდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის ხელმძღვანელობაზე.

ამ საკითხის გარშემო წარმოებული ბრძოლიდან აშკარაა, რომ ინტერნაციონალში შემავალი თვითეული ნაციონალური გაერთიანება იმას ცდილობს, რომ თავის ქვეყანაში და თავისი ხელმძღვანელობის ქვეშ მოაქციოს ინტერნაციონალი, რათა მისი საშუალებით მეტი დახმარება აღმოუჩინოს საკუთარ კაპიტალისტურ მთავრობას იმპერიალისტური გეგმების უფრო ადვილად განხორციელებაში. სოციალ-პატრიოტების ერთგულება, როგორც ჩანს იმდენად დიდია საკუთარი იმპერიალისტური მთავრობების მიმართ, რომ არავითარ დათმობაზე არ მიდიან ერთმანეთთან და ასეთი კურიოზული და სკანდალური პრეცენდენტის წინაშე აყენებს ინტერნაციონალს.

ამის შემდეგ არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ რატომ არ ხერხდება ამსტერდამის ინტერნაციონალის პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან შეთანხმება საერთაშორისო მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის შექმნის საკითხში, რომ ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ სოციალ-გამყიდველი ლიდერების გარეშე, მუშათა მასების უშუალო დაპყრობით და პროფინტერნის იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ქვეშ დაყენებით.

ამსტერდამის და მე-2 ინტერნაციონალების თვითეული სესია, რომელიც წარმოადგენს მათი იდეური სიკოტრისა და ორგანიზაციული რღვევის დემონსტრაციას ხელს უწყობს, უფრო აჩქარებს ამ პროცესის დასრულებას.

კ. ჭეიშვილი.

# საგარეო ვაჭრობის საკითხები

## II

ჩვენი საექსპორტო საგნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თამბაქოს.

საქართველოს სასოფლო მეურნეობაში თამბაქოს როლი დიდია. მისი საერთო პროდუქცია საშუალოთ არა ნაკლებ 10 მილიონი მანეთისაა წლიურად. ხარისხის მხრივ აფხაზეთის თამბაქო ოსმალეთის საუკეთესო რაიონების თამბაქოს არ ჩამორჩება. პირიქით, ზოგიერთი ჯიშები აქ უკეთეს ხარისხის საქონელს იძლევა, ვიდრე ოსმალეთში. გურია სამტრედიის მეთამბაქოება შედარებით ახალგაზრდაა. მიღებული ცდების მიხედვით, ორ დასახელებულ რაიონების თამბაქოს საუკეთესო მომავალი აქვს. რაც შეეხება ლაგოდეხის და კახეთის მე-

თამბაქოებს, აქ ოდნავ სხვაგვარ ელემენტთან გვაქვს საქმე. ლაგოდეხის თამბაქო აფხაზეთისას მეტოქეობას ვერ გაუწევს, მაგრამ სამაგიეროთ თავისი ხარისხის მიხედვით, ის ანალოგიურ თუთუნს არ ჩამორჩება. ცნობილი სპეციალისტების დასკვნების მიხედვით, ლაგოდეხის თამბაქო 10—12 პროც. სჯობნის ყუბანის ოლქის ასეთივე თამბაქოებს.

საზოგადოთ ცნობილია, რომ ყოველგვარი მეურნეობის აყვავება - აღორძინებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მიღებული პროდუქტის საქონლის გარდაქცევა და მისი გასაღების ბაზრების გამონახვა-მოგვარება. ამ მხრივ ერთი შეხედვით თითქოს თამბაქოს საკითხი არ უნდა იყოს კრიტიკულ მდგომარეობაში. ვინაიდან თამბაქოს მრეწველობა, როგორც საქართველოში, ისე ამ.-კავკასიაში და მთელ საბჭოთა კავშირში, უკვე საგრძნობელ დონეზეა ასული. აქედან ლოღიკურად უნდა გამომდინარეობდეს ნედლი მასალის მოთხოვნილების თანდათანობითი ზრდა, ცხადია, ამით ნედლი თამბაქოს გასაღების საქმეც ნორმალურ კალაპოტში უნდა იყოს ჩაყენებული; მეორე მხრით უცხოეთი კიდევ ომამდე კარგად იცნობდა ჩვენ თამბაქოს. უკანასკნელ წლებში მისი გატანის რაოდენობა საგრძნობლად დიდ რიცხვებს იძლევა. ერთი სიტყვით, საქმე ერთბაშად მოწყობილი და მოჭახრაკებულია!

სავალალო მხოლოდ ის არის, რომ სინამდვილეში არც ისე კარგათ არის საქმე დაყენებული, როგორც ეს პირველ შეხედვით გვეჩვენება. საქმე იმაშია, რომ როგორც ამიერ-კავკასიის, ისე მთელი საბჭოთა კავშირის თამბაქოს მრეწველობა საჭიროებს ჩვენი თამბაქოს მხოლოდ ერთ ნაწილს. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღვადგინოთ მეხსიერებაში ორი ფაქტი. თამბაქოს მრეწველობის განვითარება ხუთწლედი გეგმის მიხედვით და ნედლი თამბაქოს მეურნეობის პერსპექტივები ამავე პერიოდში.

თამბაქოს მრეწველობის განვითარება გვიჩვენებს ხუთწლედის ბოლოში 37 პროც. ზრდას. საქართველოს მეთამბაქეობა კი 6.900 დესეტინიდან 1925 — 26 წელში ხუთწლედის დასასრულს უნდა გაიზარდოს 13,200 დესეტინამდე. საკავშირო მრეწველობის მოთხოვნილების ზრდა მოითხოვს თამბაქოს პლანტაციების მხოლოდ 2000 დესეტინით ზრდას. თავისთავად ისმება საკითხი: რა ბედი უნდა ეწვიოს დანარჩენ, დაახლოვებით 4,000 დესეტინის მოსავალს, რომელიც არა ნაკლები იქნება, ვიდრე 200 ათასი ფუთი?

აქ ორი აზრი შეუძლებელია. გამონახული უნდა იქნას სარეალიზაციო ბაზრები და ეს ისე, რომ თამბაქოს ექსპორტს მიეცეს განსაზღვრული და სისტემატიურად მოწყობილი ხასიათი.

თუ აფხაზეთის მეთამბაქოების ისტორიას დაუკვირდებით, ადვილათ შევნიშნავთ ერთ მთავარ თვისებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ მთელი მეურნეობა თანდათანობით საექსპორტო მეურნეობის ხასიათს ღებულობდა. ომის წინა წლების საექსპორტო რაოდენობის ზრდის შინამოხმარების ზრდასთან შედარება გვიჩვენებს სწორედ იმას, რაც ზევით აღვნიშნეთ. ტემპი პირველისა ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მეორესი. იმისდა მიხედვით, თუ რამდენათ იკიდებდა ფეხს უცხოეთის ბაზრებზე აფხაზეთის თამბაქო, გატანილის რაოდენობაც თანდათანობით იზრდებოდა.

მშვიდობიანი დროის უკანასკნელ წელში გატანილ იქნა 60.000 ფუთი 800 ათასი მანეთის ღირებულებისა. აფხაზეთის მეთამბაქოებას ეს ტენდენცია ომის შემდეგაც შერჩა და მისი შემდეგი განვითარებაც ამას ადასტურებს. ამიტომ ამ მხრივ შემდეგი დასკვნა გარდაუვალ ამოცანათ უნდა იქნას აღიარებული:: **აფხაზეთის და გურია-სამეგრელოს თამბაქოს მეურნეობას უნდა მიეცეს გადაჭრილი საექსპორტო მეურნეობის ხასიათი და როგორც ოპერატიული, ისე გამწესრიგებელი ორგანოების საქმიანობა იმ მხრივ უნდა იქნას მიმართული, რომ ეს ამოცანა გაწესრიგებულათ და სისტემატიურათ გადაჭრილ იქნას.**

როგორი არის უკანასკნელი წლების საექსპორტო პრაქტიკა? ამ კითხვაზე შემდეგი ციფრები ასეთ პასუხს იძლევიან:

გატანილ იქნა: 1923 — 24 წ. 1.613, 4 ტონა.—1,936 ათასი მან.; 1924—25 წ. გატანილ იქნა 848,2 ტონა—763,4 ათასი მან.; 25—26 წ. გატანილ იქნა 99,7 ტონა—100,0 ათასი მან. და 26—27 წ. გატანილ იქნა 773,4 ტონა—1,546,7 ათასი მანეთის.

თამბაქოს ექსპორტისათვის ეს რიცხვები დამახასიათებელია. მაშინ, როცა ომის წინა დროს ექსპორტი წლიდან წლობით იზრდებოდა, უკანასკნელი წლების მაჩვენებლები ერთობ უსისტემობის სურათს იძლევა. 1924—25 წლის გატანა 1.613,4 ტონას გვიჩვენებს. შემდეგ წელში რაოდენობა თითქმის 50 პროცენტით ეცემა: 1925—26 წელში ორი წინა წლის ექსპორტის მხოლოდ 6,2 პროც. შეადგენს და გასული 1926—27 წელი კი ისევ წარმატებით ხასიათდება, ცხადია, ეს მოვლენა უმიზეზოდ არ ყოფილა, მაგრამ მიზეზის აღნიშვნა ვერ გაამართლებს უსისტემობას, რაც აშკარაა, როგორც თამბაქოს, ისე მთლიან სახალხო მეურნეობისათვის უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ თამბაქოს მეურნეობის ასეთი ქანაობა საექსპორტო რაოდენობის განვითარებისათვის არავითარ სტიმულს არ აძლევს. აგრეთვე უცხოეთის მომხმარებელსაც არ ეძლევა საშუალება თავისი წარმოების და ჩვენი თუთუნის მოხმარას სისტემატიური სახე მისცეს. ამ უკანასკნელ მხარეს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან უცხოეთის ბაზრებზე ჩვენ თამბაქოს ბევრი და მეტად ძლიერი მეტოქეები ყავს, როგორც მაგალითად, ოსმალეთი, საბერძნეთი და ბოლგარეთია.

ომის დროის და წინად მოპოებული ბაზრები ჩვენმა თამბაქომ დაჰკარგა. ასეთები იყო ეგვიპტე და გერმანეთი. უმეტესი ნაწილი საღდებოდა ეგვიპტეს ბაზარზე. ამ ქვეყნებში ბაზარი ჩვენმა მეტოქე ქვეყნებმა ჩაიგდეს ხელში.

ამას დაემატა ის, რომ 1926 წელში ეგვიპტემ მეტად მაღალი შემოტანის ბაჟები დააწესა, რითაც ავტომატიურად დაიხურა კარები ჩვენი თამბაქოსათვის. რასაკვირველია, ამ გარემოებამ საგრძნობელი გავლენა მოახდინა ჩვენი თამბაქოს სარეალიზაციო შანსებზე. საჭირო დარჩა ახალი ბაზრების ძებნა. ეს კი ადვილი საქმე არ არის მაშინ, როდესაც თითქმის მსოფლიოს წლიურ მოხმარებას, რაც წლიურად 122—125 ათასი ტონას უდრის, მარტო ბოლგარეთი, საბერძნეთი და ოსმალეთი ფარავს. აქ საჭირო იყო მეტად ელასტიური კომერციული საქმიანობის წარმოება და პირველ ყოვლისა, ხარისხის და ფასოვნობის პოლიტიკით მეტოქეებთან ბრძოლა. მაგრამ აქაც მოვიკოჭლებთ. ეხლა კი საჭიროა წარსული მაგალითით ვისარგებლოთ, ვისწავლოთ და მომავლის საექსპორტო საქმიანობა რაციონალურად დავაყენოთ.

ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა, საგარეო ბაზრების მომავალი კონიუნქტურის გარკვევა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ მხრივ მომავალი არც ისე უნუგეშოა. სრული იმედია, რომ თამბაქოს მსოფლიოს მოთხოვნილებას ზემოთ აღნიშნული ქვეყნები ვერ დააკმაყოფილებენ. ჩვენი მოლოდინი ეყრდნობა ბოლგარეთის მეთამბაქოების შემცირებას. უკვე მომავალი წელი მისცემს დეფიციტს, რაც შეიძლება საქართველოს თამბაქოთი დაიფაროს. ამ გზით კი საშუალება მოგვეცემა რეგულიარული ექსპორტს საძირკველი ჩაუყაროთ.

ამ მიზნის მისაღწევათ აუცილებელია პირველ ყოვლისა. საექსპორტო რაოდენობისათვის სისტემატიური სახის მიცემა. მეთამბაქეობის თათბირმა, რომელიც გასული წლის ოქტომბერში შესდგა, ეს საჭიროება აუცილებლად აღიარა და უახლოესი წლებისთვის საექსპორტო რაოდენობათ 150 ათასი ფუთი მიიჩნია. ეს რაოდე-

ნობა. თუ საშუალო ასორტიმენტის ფასის 30 მანეთად ვიანგარიშებთ, უკვე 4 მილიონი მანეთის საექსპორტო ფონდს მოგვცემს, რაც თამბაქოს მეურნეობას დიდ შელავათსა და სტიმულს მისცემს.

გარდა ამისა ყოველ მიზეზს გარეშე აუცილებლათ უნდა აღიარებული იქნას თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესება. უცხოეთისათვის მისაღები და ჩვენთვის კი სავალდებულო სტანდარტის გამომუშავება. ეს საკითხი დაჩქარებით უნდა მოაგვაროს ა.-კავკასიის სასტანდარტო კომისიამ. აგრეთვე პირველ ხანებში საჭირო იქნება ზომების მიღება თვითღირებულებისა და აქედან ფასების შემცირებისათვის. ჩვენ არ ვამბობთ, რომ შემცირდეს არსებული საკონდიციო ფასები, რომელსაც იღებს პლანტატორი, არამედ ხაზს ვუსვამთ **იმ ხარჯების შემცირების აუცილებლობას, რომელიც შემდეგ იქნება.** ჩვენ ვამბობთ მხოლოდ ზედ-ნადებ ხარჯების შემცირებაზე.

**ი. ნარსია.**

# ყოფ. ახალგ. მარქსისტთა განყოფილება

## ვისთან არიან დღეს ჭეშმარიტი მარქსისტები

იყო დრო, როდესაც საქართველოს ახალგაზრდობის მუშური ფენა გაერთიანებული იყო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში. მთელი ამ ორგანიზაციის მუშაობა მიმდინარეობდა მენშევკური პარტიის იდეურ ხელმძღვანელობის ქვეშ. იგი ზრდიდა და ანვითარებდა მომავალ ქართველ სოციალ-დემოკრატს. ჩვენი ორგანიზაცია ყოველთვის იკვებებოდა იმ იდეური საზრდოთი, რომელსაც მზამზარეულად და ხშირად თავისებურად გადამზადებულად გვაწვდიდენ ჩვენ ჩვენი უფროსი ამხანაგები. ყველა ის, ვინც გაბედავდა სიტყვის თავისებურად თქმას, ვინც შეეცდებოდა კითხვის თავისებურად გადაჭრას—იდევნებოდა ჩვენი ორგანიზაციიდან. მაგრამ ვინაიდან ერთადერთი ორგანიზაცია, რა თქმა უნდა მარქსისტულ-სოციალისტური — მხოლოდ ჩვენი ორგანიზაცია იყო, ჩვენ, ქართველი მშრომელი ახალგაზრდობა თავმოყრილი ვიყავით მასში.

გადის დრო და ჯერ კიდევ მენშევიკურ-დემოკრატიული საქართველოს არსებობის დროს, ხელიდგან გვეცლებოდა ახალგაზრდობის პროლეტარული ნაწილი, ვინაიდან ამ დროს უკვე ისახება საქართველოში „კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი“. მაგრამ უმრავლესობა ახალგაზრდობისა ისევ ამ ორგანიზაციაში რჩება. დამარცხდა დემოკრატიული მთავრობა და მით დამარცხდა საქართველოს მენშევიზმიც და მისი ტაქტიკაც. სულ მალე იწყებს რღვევას ის პარტია, რომლის იდეურ საზრდოთი იკვებებოდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია.

ბუნებრივი იყო, რომ ასეთივე რღვევა უნდა დაეწყო მის მიმდევარ ორგანიზაციასაც და ასეც ხდება. 1923 წლიდან მოკიდებული ჩვენს ორგანიზაციას თანდათან აკლდება ახალგაზრდობის პროლეტარული ნაწილი და ბოლოს 1924 წლის აგვისტომ ეს ორგანიზაცია მთლიანად დააცარიელა მარქსისტული ახალგაზრდობისაგან. ჩვენ წინ მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა კითხვა: ვისთან უნდა ვიყოთ ჩვენ, მუშების და გლეხების შვილები? და ამ კითხვაზე თუმცა არა უმსხვერპლოდ და ადვილად, მაგრამ მაინც გაიცა ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობის მიერ ღირსეული პასუხი:

ჩვენ ვართ შვილები მუშებისა და გლეხების და ჩვენ მივდივართ იმ პარტიასთან, იმ ხელისუფლებასთან, რომელიც ასე თავდადებით იცავს და აკეთებს მშრომელი ხალხის საქმეს. თავდადებულმა მუშაობამ, თავგანწირვამ და უდიდესმა სოციალისტურმა მშენებლობამ, ჩვენს წინაშე დასმულ კითხვაზე. პასუხი დადებითად მიგვაცემინა. ჩვენ მარქსისტები მოვშორდით ამ ორგანიზაციას და ვნახეთ ჩვენი ბინა — კომკავშირის რიგებში. მაგრამ ვინ „შეავსო“ ჩვენი ყოფილი ორგანიზაცია? ყოველი ჯურის, ყველა უკმაყოფილომ და უცაბედად გზა—შარაზე შეხვედრილმა ხალხმა, რომელთაც არასოდეს არაფერი საერთო არ ქონია არც მარქსიზმთან და არც სოციალიზმთან. მწუხარებით გვიხდება გახსენება იმისა, რომ ერთ დროს ჩვენი სახელოვანი ორგანიზაცია ვიღაც სრულიად უცნობი ხალხით გაივსო, ისეთი ხალხით, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვთ სოციალიზმთან, მათ არ იციან ხშირად ანაბანიც კი მარქსისტული მსოფლმხედველობისა. ახალგაზრდობა, რომელიც რაღაცათი თუ ვიღაცათი უკმაყოფილოა, მირბის ამ ორგანიზაციაში, და იწყებს არალეგალურ მუშაობას. რა უნდა გააკეთოს იქ კაცმა, რომელსაც არ შეუძლია საზოგადოებრივ მოვლენათა შეფასება?

და სწორედ ასეთი ხალხია დღეს საჭირო ამ ბნელი მუშაობისათვის. განა ის ვინც ყველაფერში კარგად ერკვევა, ვისაც შეუძლია შეაფასოს ის, რაც ხდება ჩვენში და ჩვენს იქით, ამ გზას დაადგება? არა და არა. ვინც დღეს კიდევ ისე აზროვნებს, როგორც რამოდენიმე წლის წინად, ვინც დღეს ვერ ხედავს იმას, რაც მის თვალწინ ხდება, კეთდება და შენდება. ვერ ხედავ იმას, რაც დღეს ძალთა წონასწორობაში ხდება, ჩვენთვის არც არის საჭირო. ეს ხალხი პოლიტიკური ბეცებია და ჩვენი ცხოვრების ზედმეტი ბარგი. მუშური ახალგაზრდობა ერთხელ კიდევ ეტყვის **მათ:**

— ნუ ჩხირკედელაობთ, ჩამოგვეცალეთ გზიდან, ხელს ნუ გვიშლით და ჩვენ უთქვენოდაც გავაკეთებთ იმ საქმეს, რომელსაც ასე თავგანწირვით აშენებს მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

**ონიფ. ნებიერიძე.**

## მორიგი ამოცანები

პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურება თავდებია საზოგადოებრივი მოვლენების სწორი შეთვისებისათვის, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც ჩვენს სინამდვილეში, ახალი ცხოვრების მშენებლობას მიეცა დასაწყისი, ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. ახალგაზრდობის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ისმება პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურების საკითხი, რომელიც თხოულობს ახალგაზრდობის მხრით დიდი ენერგიის გამოჩენას.

განსაკუთრებით ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებში გაერთიანებული ახალგაზრდობა, რომელიც წინათ მოწყვეტილი იყო საბჭოთა საზოგადოებრიობას, უნდა დაუახლოვდეს და შეეგუონ ახალ ცხოვრებას. შეითვისონ ის და მუშათა კლასთან ერთად იბრძოლონ მისი განვითარებისათვის.

ეს გარემოება კი ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების წინაშე აყენებს მრავალ პრაქტიკულ ხასიათის მოთხოვნილებებს. ჯერ ერთი ის, რომ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ბიუროები ადგილებზე უნდა შეეცადონ რეფერატების, მოხსენებების და საუბრების მოწყობით ყოფა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების გაერთიანებულ მასიურ კრებებზე და თათბირებზე ფართოდ გააშუქონ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები, სახალხო მეურნეობისა და კულტურულ ფრონტზე. გაშუქებული უნდა იქნეს საერთოდ საბჭოთა აღმშენებლობის სოციალისტური ხასიათი და გარკვევით მითითებული საბჭოთა ეკონომიკის იმ ახალ საფუძვლე-

ბზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას სოციალიზმისაკენ მიაქანებს. მაგრამ ამავე დროს ის ახალგაზრდობა, რომელიც გაერთიანებულია ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებში უნდა ჩავაბათ როგორც ქალაქად, ისე სოფლად პრაქტიკულ მუშაობაში. ისინი უნდა მივიზიდოთ, დავაინტერესოთ იმ ყოველდღიურ პრაქტიკული საკითხებით, რომელთა გადაჭრა - მოგვარებაში აქტიური მონაწილეობას ღებულობს კომპარტიასთან კომკავშირი. ისეთი საკითხები, როგორიც არის ქალაქად წარმოების რაციონალიზაცია, წარმოებებში შრომის ნაყოფიერების აწევა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ახალგაზრდობის შრომის ჯანმრთელობის საკითხები, პროფესიონალური ხასიათის ორგანიზაციებში მუშაობა და სხვ. მრავალი. სოფლად— ჩაბმა სასოფლო - სამეურნეო ხასიათის ორგანიზაციებში: მიწათმოწყობა, გლეხთა არტელები, კომუნები, კოოპერაცია და სხვა. ყოველივე ეს უდავოა ხელს შეუწყობს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებში გაერთიანებულ ახალგაზრდობის გარდაქმნას მათ გათვითცნობიერების და საბჭოთა საზოგადოებრიობის გაცნობას.

ყოფილ ახალგაზდრა მარქსისტების ბიუროებმა ადგილებზე მეტი ენერგია უნდა გაიღონ და ინიციატივა გამოიჩინონ ბიუროებში გაერთიანებულ ახალგაზრდობის ირგვლივ ხელსაყრელ პირობების შექმნაში, რათა ეს ახალი ძალა, რომელიც გამოჰგლიჯეს მენშევიზმს, გაანთავისუფლეს მისი გავლენისაგან ჩააბან საბჭოთა საზოგადოებრიობის პრაქტიკულ მუშაობაში, ხელი შეუწყონ მათ პოლიტიკურად გაწვრთნის და კულტურული დონის ამაღლების საქმეს. ყოფილ ახალგზარდა მარქსისტთა ბიუროებმა ეს ამოცანები გადაუდებელ საქმეთ უნდა მიიჩნიონ და შეეცადონ მის ცხოვრებაში გატარებას.

როგორც ვიცით, ლენინიზმი მარქსიზმის პრაქტიკული განხორციელებაა. ყველა ის გზები სოციალიზმისაკენ, რომელც მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს. ამ გზებით დღეს მიემართება ოქტომბრის რევოლიუცია სოციალიზმისაკენ. მარქსიზმმა პრაქტიკული გამართლება რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციაში ჰპოვა და უდავოა ის, რომ ისე, როგორც კომკავშირი, ყოფილ ახალგაზ. მარქს. ორგანიზაციებში გაერთიანებული ახალგაზრდობაც უნდა აღიზარდოს ოქტომბრის რევოლიუციის პრაქტიკაზე. ამ რევოლიუციის მიღწევებიდან უნდა გაიშალოს მუშაობა იმ ახალგაზრდების ფენებში, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ ამ რევოლიუციის გარეთ დარჩენ და დღის საბჭოთა ხელისუფლებასთან მტკიცეთ სდგანან, რომლებიც მოსურთ იმიტომ, რომ თავის ახალგაზრდული ენერგია ახალი ყოფის მშენებლობისათვის გაიღონ და თავისი წვლილიც შეიტანონ ამ მშენებლობის საქმეში.

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მუშაობა მხოლოდ მაშინ მოგვცემს სასურველ ნაყოფს, მათი პოლიტიკურ გაწრთვნა და კულტურული დონის აწევა მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის ლოღიკურ შედეგს, თუ ამ ახალგაზრდობის იდეოლოგიურ დამუშავებას ვაწარმოებთ, როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული გზებით. ეს მეთოდი ცხოვრებისაგან არის ნაკარნახევი და მას ვერდს ვერ აუვლით.

კომკავშირი შვილია ოქტომბრის რევოლიუციის, რომელიც გამოიჭედა რევოლიუციონურ ბრძოლის ქარტეხილში. ის აღიზარდა და გაიწრთვნა პრაქტიკულ ბრძოლის მაგალითებზე. ის თავის ზურგით ეზიდებოდა და ეზიდება ახალი ყოფის მწვერვალებზე ახალ-ახალ მიღწევებს. ახალგაზრდათა ლენინური კავშირი გაკაჟებული, ბრძოლაში გამობრძმედილი ორგანიზაციაა, იგი ერთგული გუშაგია ოქტომბრის რევოლიუციის.

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებმა ახალი ძალებით უნდა გაამდიდრონ კომკავშირის რიგები. ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტები გამოყენებულ უნდა იქნენ ყოველ დღიური პრაქიტკულ ცხოვრებაში. ისინი ჩაბმული უნდა იქნან, როგორც კულტურულ, ისე სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ამ პრაქტიკულ მუშაობის პროცესში უნდა ხდებოდეს მათი პოლიტიკური და კულტურული მომზადება. მათი გადამუშავება, რითაც ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციას შევმატებთ ახალ-ახალ მებრძოლ ძალებს. **ნ. ჯულელი.**

## ერთობის უბნის ყოფ. ახ. მარქსისტთა კრება

კვირას, 15 იანვარს, ამხ. ლადო სუხიშვილის სახელობის კლუბში შესდგა ერთობის უბნის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) პოლიტიკური მოხსენება; 2) ერთობის უბნის ბიუროს ანგარიში; და 3) ახალი ბიუროს არჩევნები.

პირველ საკითხის გარშემო ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ანტონ შავგულიძე, რომელმაც ფართედ გააშუქა მსოფლიო მენშევიზმის პოზიცია— საბჭოთა კავშირის და პროლეტარულ რევოლიუციის მიმართ. შემდეგ შეეხო ქართულ მენშევიზმის რაობას და მის „მოღვაწეობას“ ჩვენს სინამდვილეში.

მეორე საკითხის გარშემო საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნადირაძე, რომელმაც გააშუქა ერთობის უბნის ბიუროს საქმიანობა უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში. აღინიშნა მისი მიღწევები, ნაკლულოვანებანი და შეჩერდა მომავალ მუშაობის გეგმაზე.

დასასრულ, მოხდა ბიუროს გადარჩევა,—ბიურო არჩეულ იქნა ხუთი კაცის შემადგენლობით, სადაც შევიდენ: ამხ. **ანდრო დოლონაძე, ევგენი შავგულიძე, დავ. ნადირაძე, კოტე ძიძიკაშვილი, და თამ. ჯავახიშვილი.**

# ღირსეული სახალხო მასწავლებელი იასონ კაპანაძე

მეფის დროს განსაკუთრებით ძნელი იყო კულტურულ დარგში მოღვაწეობა. ეს ადვილი გასაგებიცაა ვინაიდან მეფის მთავრობის ყურადღება იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ მშრომელი მასები, რაც შეიძლებოდა მეტ სიბნელეში ყოფილიყო რომ გათვითცნობიერებულ ხალხს არ ეცნო თავისი თავი და ბრძოლა არ გამოეცხადებია მოწინააღმდეგე ბანაკისათვის. მაგრამ უფრო მძიმე იყო სახალხო მასწავლებლის მდგომარეობა, იმ დროის ის ერთად ერთი კაცი იყო სოფლად. ერთად ერთი სანთელი იყო, რომელიც ანათებდა წყვდიადით მოცულ სოფელს. ის იყო სოფლის ჭირისუფალი, მისი მეგობარი ჭირსა და ლხინში, ერთგული დარაჯი და აღმზრდელი მომავალი თაობისა, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი მომავალი კეთილდღეობა. მეფის მთავრობას კარგად ესმოდა მასწავლებლის ეს დიადი როლი და მიტომ იყო, რომ ის ვერ ითმენდა ხალხის მეგობარ და მესაიდუმლე მასწავლებელს, ის კარგ მასწავლებლებს ყველგან მუსრს ავლებდა: ან გაროდატეხდა, დაიმორჩილებდა მას ან და უსათუოდ მოაშორებდა თავის საყვარელ საქმეს.

რა თქმა უნდა ასეთ პირობებში გმირობა იყო სახალხო მასწავლებლის მოვალეობის ასრულება; მაგრამ, სამწუხაროდ, თითებზე ჩამოსათვლელი იყო სახალხო მასწავლებელთა შორის ასეთი გმირთა რიცხვი მიუხედავად ასეთი აუტანელი პირობებისა, მაინც იყვნენ ასეთები და მათ შორის უკანასკნელი არ იყო სახალხო მასწავლებელი **იასონ ლუკას ძე კაპანაძე**, რომელსაც თამამად შეუძლიან სთქვას, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ის ერთგულად, სინდისიერად, საქმის ცოდნითა და სიყვარულით გუშაგათ ედგა სახალხო სკოლას და ქართულ კულტურას.

არ დარჩენილა დასავლეთ საქართველოში ისეთი მაზრა, სადაც ამ კაცს არ ემასწავლებლოს, რომელ სოფელშიაც კი გაჩნდებოდა ეს მადლიანი კაცი, უსათუოდ კვალს დააჩენდა თავისი ნაყოფიერი საქმიანობით. ის არ კმაყო-

ფილედბოდა მარტო სკოლაში მუშაობით, ხალხის ერთგული შვილი მუდამ ხალხს დასტრიალებდა თავზე; ბიბლიოთეკა - სამკითხველო, საკვირაო სკოლების მოწყობა, გლეხებში გაზეთების კითხვა, სახალხო წარმოდგენები, ეს კაცი ყველა ამაებში იღებდა მონაწილეობას. უანგაროდ და დაუზარებლად: მაგრამ არც მარტო ამით კმაყოფილდებოდა: ის სასტიკად ებრძოდა იმ დროს ჩვენ სკოლაში გამეფებულ სქოლასტიკას ანტი-პედაგოგიურ პრინციპებს და განსაკუთრებით რუსიციზმს, რომილთაც ამისათვის საგანგებოდ დანიშნული რუსი მოხელეები წამლავდენ ჩვენს სკოლას, საბოლოოდ უფუჭებდენ ენას მოზარდთაობას.

იასონ კაპანაძე მუდამ სასტიკად ილაშქრებდა ამ უკუღმართობის წინააღმდეგ. სიტყვით, საქმით, წერით ის მუდამ დაუძინებელი მტერი იყო ჩვენი სახალხო სკოლის მღრნელი ჭიებისა. როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში „თავბერძა" ფსევდონიმით ის მუდამ ღაღადებდა საღ პედაგოგიურ ჭეშმარიტებას.

დღეს ბევრი მისი ყოფილი მოწაფეები, უმაღლესი სწავლით აღჭურვილნი მოღვაწეობენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ცხადია, ასეთ ნაამაგარ კაცს არასოდეს არ დაივიწყებს ჩვენი გლეხობა; დღეს, 29 იანვარს, მას ჭიათურაში შორაპნის მაზრის გლეხები და მუშები უმრათავენ იუბილეს მის 50 წლის სახალხო განათლების ფრონტზე დაუღალავ მოღვაწეობისათვის. ცხადია, ასეთ სახალხო მასწავლებლისათვის, როგორიც არის იასონ კაპანაძე, დიდი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენში ასე გავრცელებულ იუბილეს. მაგრამ საჭიროა ამ სიბერის დროსაც. ერთხელ კიდევ იგრძნოს ამ მადლიანმა მოღვაწემ მორალური სითბო და იმ ხალხის სიყვარული, რომელშიაც ის ტრიალებდა ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, შორაპნის მაზრის მშრომელები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ დღესასწაულში და მიუძღვნიან ამ სახალხო მოღვაწეს თავის უგულითადეს მადლობას.

**გრ. მაჭავარიანი.**

# ეროვნულ თეატრის აღორძინება

## II

თავის დროზე ქართულ თეატრში „ჰამლეტმაც" დიდი როლი ითამაშა. ჰამლეტის „ყოფნა არ ყოფნის" საკითხი, წარსულში საქართველოს მთელი თავისი სიმძაფრით დააწვა თავს და ქართველი ერიც ჰამლეტთან ერთად „ითმენდა ჟამთა სიმწარეს, მტარვალთა ჩაგვრას, მძლავრთ უკმეხობას. შეურაცყოფას ღირსეულის — უღირსისაგან" და როგორც ერთ დროს გერვინუსი ამბობდა: „ჰამლეტი— გერმანიაო" ისევე ქართველ ხალხს შეეძლო ეთქვა: „ჰამლეტი — „საქართველოაო"!

თეატრალური ხელოვნება იმით არის მძლავრი, რომ იგი ჩვენ ცხოვრებაზე დიადი ზეგავლენით მოქმედობს. არც ერთ ხელოვნების დარგს არ შეუძლია ისე თვალნათლივ წარმოგვიდგინოს ჩვენი წარსული და აწმყო, როგორც თეატრს და თუ იგი არ გამოეხმაურა ცხოვრებას, ვერ აუღო ალღო ჩვენ სულიერ მოთხოვნილებას. ის თეატრი დიდხანს ვერ იბოგინებს და მალე მოკვდება.

ამ მხრივ ქართულ თეატრს ბრწყინვალე წარსული აქვს. ქართული თეატრი მძლავრად გამოეხმაურა ერის ტკივილებს და იგი ერთ და იმავე დროს იყო ხელოვნების ტაძარიც, და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ტრიბუნაც.

ივ. მაჩაბლის ნათარგმნი შექსპირიც დიდი ეროვნული მოვლენა იყო. შექსპირი ჩვენთვის სრულიად უტყვი დარჩებოდა, რომ ი. მაჩაბელს თავისი ნამდვილი ქართული ენით და პოეზიით არ აემეტყველებინა შექსპირის დრამები. შექსპირი ი. მაჩაბელმა ქართულ სცენისთვის მშობლიური გახადა. ეს თავისთავად ღაღადებს ქართულ თეატრის კულტურაზე.

მაგრამ ქართული თეატრი 1910—12 წლების შემდეგ დაღმართზე ეშვება. მართალია, ამ ხანში ქართულ სცენაზე ახალმა შუქმა შეანათა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი"-ს სახით, მაგრამ იგი გაცილებით სუსტი იყო „ლალატთან" შედარებით და ქართულ თეატრის რეპერტუარში ისეთი როლი ვერ ითამაშა, როგორც სუმბათაშვილის პიესამ.

ქართული თეატრი უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მას შემდეგ, რაც თეატრის შენობა დაიწვა და კარ და კარ მოუხდა მას სიარული. სწორედ ამ დროს დაიწყო კიდეც იმპერიალისტური ომი და ქართულმა თეატრმაც სულ დაკარგა თავისი გზა და კვალი. ამ ყოფაში მოუსწრო მას თებერვლის რევოლიუციამ. თებერვლის რევოლიუცია საქმეს ვერ გამოასწორებდა და თეატრის უფრო სასტიკი კრიზისი დაუდგა — ერთ ხანობას თეატრის კარები კინაღამ სამუდამოდ არ დაიკეტა.

მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციამ მოახდინა ცხოვრებაში ძირითადი გარდატეხა და მასთან ერთად, ხელოვნებასაც, კერძოთ კი თეატრს. წაუყენა ახალი მოთხოვნილება. ქართული თეატრი დადგა ახალი ისტორიული ფაქტის წინაშე. ქართულ თეატრს არ შეეძლო ახალ ეპოქის, ახალ მოვლენებისათვის ანგარიში არ გაეწია!

როგორ შეხვდა ქართული თეატრი ახალ ცხოვრებას, გამოეხმაურა თუ არა ახალ ეპოქის მაჯისცემას, გადადგა თუ არა ნაბიჯები ეროვნულ თეატრის აღორძინებლად, ახალი ხელოვნების, ახალ კულტურის შესაქმნელად?

სამწუხაროდ, ყოველივე ამ დადებითი საკითხებზე ჩვენ უარყოფითი პასუხით უნდა გავსცეთ.

მართალია, ჯერჯერობით არც საბჭოთა რუსეთს შეუქმნია თეატრი— ღირსი ოქტომბრის რევოლიუციისა. მიუხედავად რუსეთის თეატრების ფორმალურ დიდ მიღწევებთან, შინაარსით თეატრი მაინც კრიზისს განიცდის. მაგრამ ამ მდგომარეობის დასაძლევათ დღეს იქ დიდი მუშაობა სწარმოებს და ნაწილობრივ ეს კრიზისი დაძლეულია.

ჩვენში კი ამის მსგავსი არაფერი ხდება და ორიგინალურ რეპერტუარის მხრივ ჩვენი თეატრი გაიყინა.

რას შვრება ჩვენი თეატრი, როდესაც უნდა თანამედროვე რევოლიუციონურ ეპოქის გამოხატვა? იგი მირბის ისეთ დრამატურგებთან, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ჩვენ ცხოვრებასთან, არ შეუძლიათ ჩვენ სულიერ მოთხოვნილების გამოხმაურება და პირველ რამპის სინათლესთანავე ერთად სცენაზედვე კვდებიან. ეს განსაკუთრებით შეეხება ახალ ყოფა-ცხოვრების პიესებს. რაც შეეხება რევოლიუციონურ პიესებს, ისინი მოცემული არიან ყოველგვარი რევოლიუციონურ პათოსის და ტემპერამენტის გარეშე და არავითარი რევოლიუციონური აღფრთოვანებას არ იწვევენ. ეს ადვილი ასახსნელია. ყოველი პიესა, ყოველი შინაარსი უნდა გატარდეს ჩვენი ხალხის ახალ შემეცნების ასპექტში. ყოველგვარი სპეციფიურობა, რომელიც ამა თუ იმ ერს ახასიათებს მხოლოდ— ეროვნული თეატრი ვერ მიუდგება, ვერ განახორციელებს და ხალხისთვის უცხო დარჩება.

როგორი გამოსავალი უნდა ვიპოვოთ ამ ჩიხიდან?

გამოსავალი ერთია. ეროვნულ თეატრის შესაქმნელად საჭიროა—ორიგინალური რეპერტუარი და ამისთვის ჩვენ უნდა მივმართოთ შემდეგ ხერხს:

**პირველი.** უნდა იწერებოდეს (თუ ვერ დავწერთ გადმოვაქართულოთ ისე, როგორც ეს დ. ერისთავმა და სხვებმა გააკეთეს), ახალი პიესები ჩვენი თანადროული ყოფა-ცხოვრებიდან.

**მეორე.** უნდა დაიწეროს ისტორიული თემებზე აგებული ახალი პიესები, რომელნიც დააკმაყოფილებს ჩვენ ახალ მსოფლმხედველობასაც და ესტეტიურ შემეცნებასაც.

რატომ არ შეიძლება დაიწეროს პიესა, რომელიც შეეხება, ვთქვათ მაგალითად, აღა-მამედ-ხანის შემოსევის ხანას? თუ შეიძლება ნერონის ეპოქიდან დაიწეროს პიესა, ჩვენი ისტორიული ეპოქიდანაც, შეიძლება ისეთი მომენტების გამოძებნა, რომელიც შეგვიძლიან გავატაროთ ჩვენი ეპოქის ესპექტში და მივიღოთ ის, რითაც დაინტერესებულია ჩვენი ახალი ქვეყანა.

„ხალხმა უნდა იცოდეს თავის ქვეყნის ისტორია“—ამბობს ლუნაჩარსკი. რასაკვირველია, ხალხმა უნდა იცოდეს თავისი წარსული, მაგრამ ეს წარსული უნდა გაშუქებული იყოს თანადროულობის იდეიის თვალსაზრისით. ამის მაგალითი გვიჩვენა გლებოვმა თავის „ზაგმუკ“-ში.

შემდეგი ჩვენი მხატვრული ლიტერატურის ინსცენიროვკას ფართედ უნდა შეუწყოთ ხელი, რაიც გაანელებს რეპერტუარის კრიზისს. რაც შეეხება გადმოკეთებას და გადმოქართულებას, ეს გზაც სწორე იქნება. ამ მხრივ მგონია ჩვეომა აკადემიურმა დრამამ ნაბიჯი გადადგა, რომელსაც განუზრახავს ივანოვის რევოლიუციონურ პიესის „ჯავშნოსანის მატარებლის“ გადაკეთება და ჩვენ ყოფა-ცხოვრებასთან შეფარდება.

გარდა ამისა, თვით ჩვენი ხალხის წარსულშიც ბევრ რევოლიუციონურ შინაარს გამოვძებნით. მაგალითად: გურიის ამბები. წითელმა თეატრმა შეჰქმნა საუცხოვო პიესა „ჯანყი გურიაში“. საუცხოვო თემას იძლევა კახეთში გლეხთა აჯანყების ისტორია, 1905 წელი ჩვენში, 26 კომუნარის სიკვდილი და სხვა, რომელიც საბუთს გვაძლევს, რომ საჭირო არ არის უცხოეთში წასვლა და ქართულ თეატრისთვის შეუფერებელ მასალის გამოძებნა.

რაც შეეხება ნათარგმნ პიესებს, აქ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ზოგიერთი კლასიკები დიდი შერჩევით. რასაკვირველია, შექსპირი ჩვენი თეატრის რეპერტუარიდან არ ამოიშლება, მაგრამ შექსპირის გარდა, მსოფლიო ლიტერატურაში კიდევ გამოიძებნებიან ისეთი დრამატურგები, რომელნიც ჩვენთან ახლოს არიან თავიანთი ტემპერამენტით, რასიული ბუნებით და ყოფა-ცხოვრებით.

ლოპე-დე-ვეგას „ცხვრის წყარო“ სწორედ რომ შესაფერი გამოდგა და ჰპოვა კიდეც დიდი გამოხმაურება.

ამრიგად, ახალ ქართულ ეროვნულ თეატრში ჩვენ გზა უნდა გაუხსნათ: ახალ მელოდრამას, კომედია-სატირას, ისტორიულ დრამას და ტრაღედიას, რომელიც იყო და იქნება უმაღლეს ფორმად თეატრის ხელოვნებაში.

გარეშე ქართულ ეროვნულ რეპერტუარისა ქართულ თეატრის წინსვლა და აღორძინება შეუძლებელია.

გრ. რობაქიძემ მოგვცა ახალი სახე ეროვნულ დრამატურგისა „ლამარა“-ს სახით. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა უფრო თანამედროვე სოციალურ კოლიზიებზე აგებული ნაწარმოები, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს ჩვენი ეპოქის დინამიკას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გვექნება არა „ეროვნული თეატრი“, როგორც ამას ამბობს — ა. ილინსკი-ბლიუმენაუ, არამედ „თეატრი—ეროვნულ ენაზე“, რომელიც დღეს ენის მხრივაც, ქართულ დიქციით, მეტყველებით საგრძნობლად მოიკოჭლებს და ამ ნაკლის გასწორება კი შეუძლიან მხოლოდ ეროვნულ დრამატურგიას.

**ვახტანგ გარრიკი.**

# შოფერების თავხედობა

ვისთვის არის გაუგებარი, რომ შოფერების და ზოგიერთი ვატმანების დაუდევრობით ხშირია უბედური შემთხვევები თბილისის ქუჩებზე. ისინი არ ასრულებენ მოძრაობის წესებს და ხშირად სამჯერ მეტი სიჩქარით გარბიან, ვიდრე ეს მათ ინსტრუქციით აქვთ დავალებული. და ისინი ამას სჩადიან არა მარტო სწორ და განიერ ქუჩებზე, არამედ ვიწრო, მაღლობ და მიხვეულ-მოხვეულ ადგილებზეც, და აი, ამიტომაც, თუ კაცი სულ შოფერის თავხედობაზე არ ფიქრობს და მასთან სწრაფი გადახტომა არ შეუძლია, უეჭველად მისი მსხვერპლი ხდება.

მათ წინააღმდეგ ღებულობენ სასტიკ ზომებს: დანაშაულობისათვის აჯარიმებენ, სამართალში აძლევენ და ხშირად ადამიანის დასახიჩრების ან სიკვდილისთვის ერთ ან ორ წელიწადს ციხეში ჯდომასაც მიუსჯიან. მაგრამ ეს ვაჟბატონები, მაინც ვერაფერმა ვერ მოსტეხა და კვლავ თავისებურად, ძველებურად განაგრძობენ გიჟურ რბენას ავტომობილებით.

25 იანვარს, დილით მივდიოდი ჩერქეზიშვილის ქუჩით, ტრამვაით. უეცრად შორს გამოჩნდა საშინელი სიჩქარით მომავალი ავტომობილი (№ 794), რომელიც მოუახლოვდა თუ არა ჩვენს რონოდას, მოინდომა უეცრივ გამძვრალიყო ჩვენსა და ჩვენსკენ მეორე ლიანდაგით მომავალ რონოდას შუა. ეს მან ვეღარ მოასწრო და გაეკვეხა რონოდის ბუფერში და მით დაიკავა პირველიც და მეორე ლიანდაგიც, რამაც გამოიწვია მოძრაობის შეჩერება და ამ ადგილზე მთელი რიგი ორივე მხარიდან მომავალი რონოდების დაგროვება. დიდი ვაი-ვაგლახით, წითელ-არმიელების დახმარებით, როგორც იყო მოაშორეს ავტო რონოდას, რის შემდეგაც მოგვეცა საშუალება გავეგზავრებულიყავით ჩვენი გზით.

26 იანვარს, ამავე ქუჩაზე, ვაგზლის მახლობლად, ტრამვაის რონოდიდან შევნიშნე დამტვრეული ავტომობილი, რომლის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. საქმე შემდეგში ყოფილა: შესახვევიდან თავპირის მტვრევით მოდენილა ფქვილით დატვირთული ავტომობილი, რომელიც უნდა გამოსულიყო ჩერქეზიშვილის ქუჩაზე. ვატმანს ვეღარ მოუსწრია რონოდის გაჩერება ისეთ ადგილზე, რომ როგორმე თავიდან აეცდინა შურდულივით მომავალი ავტო და მომხდარა საშინელი დაჯახება, რასაც უმსხვერპლია ოთხი ტრამვაით მიმავალი მგზავრი.

შოფერების თავხედობას ბოლო უნდა მოეღოს.

**ლ. კუპრაშვილი.**

მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე სირმა, შვილი ალფესი და რძალი ელენე ხელაძეები, ქალიშვილები ნადითი და ათინო თავისი ქმრით პლატონ კვიციძით და შვილებით, შვილის შვილები დათიკო ხელაძე და თამარა ფრანგულაშვილისა მეუღლითურთ და მაზლიბი იოსებ და ფილიპე ხელაძეები ოჯახობით აუწყებენ საზოგადოებასა და ნათესავ-მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 24 იანვარს ქ. ბათომში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**ეკა ივანეს ასული ხელაძისა**

რომლის გამოსვენება ქ. ბათომიდან სადგურ ლანჩხუთში და შემდეგ სოფ. მამათში (გურია) მოხდება კვირას 29 იანვარს.

**სარედაქციო კოლეგია.**

პოლიგრაფტრესტის მე 5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.